



სათეატრო სალიტერატ. ჟურნალი

ფასი 25 კპბ.

თეგერვლის 22

1925 წ. № 4



აკაკი

გარდაცვალებიდან 10 წ. უმსრულეობის გავლ.

(საოპერო თეატრის გვერდით აღმართული ძეგლიდან)

ქანდაკება ი. ნიკოლაძისა

ნახატი ალ. ციმაკურიძისა

მიწასარი:

მოწინავე—საბჭოთა არჩევნებისთვის; ხომალდი—აკაკი შურაძე; ვარ. ზურაბი—აკაკი შურაძე; მსხვერპლი, პოემა (დასასრული); გერ. გერსამია—აკაკის პორტრეტები; სერგო ივ. ევლახიშვილი; ვარლამ რუხაძე—პირველი გილიოტინა; დ. გურჯაანი—დათუკიშვილი * * (ლექსი); თამარ გოგლაშვილი—თამაშის კულტურა (წერილი გერმანიიდან); ხელოვნება უცხოეთში; ექიმი შტოკმანი—იუბილეები; იოსებ არიმათიელი—საქართველო კინოში; არტურ ლეიბი—სომეხთა პუმორისტები; ტფილისის თეატრები; დაბა-სოფელი.

შურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს 15 წ. თავისთვის

გასულ წლის დეკემბრის შუა რიცხვებში „თეატრი და ცხ.“-ის მეგობრების ერთმა ჯგუფმა გაიხსენა რომ ა. წ. 2 იანვარს შურნალს უსრულდებოდა 15 წ. არსებობის თავი. ჯგუფმა სრულის შეგნებით გაითვალისწინა, რომ 15 წ. მანძილზე შურნალს მეტად ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა, დიდს წვლევებით და გაჭირვებით მოიტანა მან თვისი არსებობა დღევანდლამდის და სურვილი გამოსთქვა, ეს დღე შესაფერისად აღნიშნულიყო. საინიციატივო ჯგუფმა თავისი აზრი შურნალის თანამშრომლებისა და მეგობრების ფართე საზოგადოებაზე გადაიტანა. აღნიშნა მისი ღვაწლის მნიშვნელობა კულტურულ ფონტზე როგორც ცენტრში, აგრეთვე პროვინციაში, განსაკუთრებით ქართულ თეატრის ცხოვრებაში და ისიც, თუ რა ნივთიერ შევიწროვებს განიკდის იგი დღეს. შურნალი თავის შინაარსით და აღებული გეზით წარმატების გზას ადგია და საჭიროა მისი ნივთიერად მოღონიერება და მორალურად გამხნეება, რომ შემდეგშიც დისახულ მიზნების განსახორციელებლად ფართე მშრომელი მასის ინტერესებს ემსახურებოდეს.

საინიციატივო ჯგუფის აზრმა უკვე ჰპოვა გამოძახილი: გადასწყდა, შურნალის არსებობის 15 წლის თავი ღირსეულად აღინიშნოს. ამ საქმის გარშემო ერთი თვეა რაც კრებები იმართება რედაქციის ბინაზე, რომლებსაც ესწრებიან საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები და ყველა კულტურულ დარგების ცნობილი მოღვაწენი: მგონები, მწერლები, დრამატურგები, მსახიობები და ხელოვანნი.

თებერვლის 8-ს საერთო კრებაზე არჩეულ იქნა მთავარი კომიტეტი, თებერვლის 15 კრებაზე კომიტეტმა რამდენიმე ქვეკომისია გამოკყო, რომელთაც დაავალა საზეიმო საღამოს გვემის შემუშავება და სხ. წინასწარ მუშაობის წარმოება.

საიუბილეო საღამოს მოწყობა ტფილისში განზრახულია მარტში. ამ დღისათვის შურნალი გამოვა გაფართოვებულის სახით და შერჩეული მასლით.

პ/მ მდივანი არ. ცინისთავი.

მიიღება 1925 წლის ხელის მოწერა

სამხატვრო-სათეატრო-სახელოვნო სურათებიან შურნალ

„თეატრი და ცხოვრება“-ზე

1910 წ.

XV წელიწადი გამოცემის XV

1925 წ.

„თეატრი და ცხოვრება“-ს წლიური ხელისმომწერანი მიიღებენ: შურნალის გარდა, ყოველ სამ თვეში ერთხელ უფასო პრემიას—წელიწადში ოთხ წიგნს „ცხოვრების საბაჟ“-ს, რომელშიც დაბეჭდილი იქნება საინტერესო კლასიკური და თანამედროვე რჩეული პიესები.

„თეატრი და ცხოვრება“-ს ვაგზავნი, ოთხთვე დამატებით, ეღირება წლიურად—10 მან., ხელის მოწერის ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება; ხელის მოწერის დროს—3 მ., აპრილის 1-ისთვის—2 მ., მაკათვის 1-ისთვის 2 მან., ოქტომბრის 1-ისთვის—3 მან., ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 34.—რედაქცია ღიაა: დილით 9—3 ს., ნაშუადღევს 5—7 ს.

პასუხისმგებელი ხელმძღვანელი: სარედაქციო კოლეგია.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.



1910—1925
 წელიწადი XV
 № 4
 (361)
 ფასი 25 კაპ.

„თეატრი და ცხოვრება“
 მედიკალიზებული სურათოქანა
 ქუჩა: 10
 რედაქციის მისამართი: რუსთაველის
 პრ., № 34
 „თავისი და ვსთავისა“,
 იოსებ იმედაშვილი

თეატრი, კომედია, მუსიკა, მხატვრობა, ჟანრები, (სოციალდემოკრატიული სურათოქანა)

დარსდა 1910 წ.

თებერვლის 22

გამოსვლა 1925 წ.

საზოგადოებას აჩვენებთ

საქართველოს მშრომელნი უკვე მეორედ ირჩევენ საბჭოებს. უკვე ოთხი წელიწადი შესრულდა, რაც საქართველოს მუშებმა და გლეხებმა დაამყარეს თვისი ხელისუფლება.

განვიღო გზას რომ გადავხედოთ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენი საბჭოთა ორგანიზაციები მუდამ მტკიცე და რაჯად იდგნენ ჩვენი მშრომელთა ინტერესების დასაცავად და თანდათან აღორძინებდნენ და ამაგრებდნენ ჩვენი ეკონომიკურ-პოლიტიკურ მდგომარეობას და კულტურას.

ზემოაღვალის პირობების დამატებით, მარტო ეს დიდი საქმე რომ ავიღოთ, იმით დავრწმუნდებით, თუ რა შეუძლიან მუშა-გლეხთა ხელისუფლებას. აღარ დავასახელებთ მრავალ სხვა საქმეს, რომლებიც მიმართულია ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის ასაღორძინებლად.

დიდი მიღწევანი კულტურულ ფრონტზეც. სკოლების რიცხვის ზრდა, წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაცია მუშათა სკოლებში, წიგნების და პერიოდულ ორგანოების გამოცემა....

საქირო არ არის ყოველივეს ფართოდ აღწესება. ყველა ჩვენგანი ნათლად ხედავს გაკეთებულ საქმეს. ყველა ჩვენგანი ნათლად რწმუნდება, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია განაგრძოს ნამდვილი მშრომელთა ეროვნული კულტურა.

მაგრამ ის, რაც გაკეთდა, არ არის საქმაო. ძველმა დრომ მტკიცე მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ეს არის ჩვენი სოფლის კულტურული ჩამორჩენა.

ამ საქმეში ჩვენ ვხედავთ რასაც აკეთებს ხელისუფლება, მაგრამ ამათთანვე ერთად ვხედავთ, რომ კიდევ ბევრი გასაკეთებელი.

ჩვენი მშრომელ გლეხ-კაცობას უნდა ვისწავლოთ წერა-კითხვა.

ამხ. ლენინმა სთქვა: „წერა-კითხვის უკოდინარი პოლიტიკის გაჯერება“. ჩვენმა გლეხმა უნდა შეისწავლოს წერა-კითხვა, რომ მით უფრო შეითვისოს საბჭოთა ხელისუფლება.

სოფელს უნდა მივაწოდოთ წიგნი, რომელსაც გლეხი ადვილად წაიკითხავს. სოფლათ უნდა ვავაძლიეროთ სამკითხველობის და სახალხო სახლების მუშაობა.

კიდევ უფრო მეტი შრომის სკოლები.

მათი ყოველმხრივი ხელის შეწყობა.

საბჭოთა ხელისუფლების ყოველი ნაბიჯი მიმართულია მშრომელთა საკეთილდღეობით და ყველა ის ადამიანი, რომელსაც უყვარს მშრომელი, საბჭოთა ხელისუფლებასთან უნდა იყოს.

ჩვენმა ახალმა საბჭოთა უნდა გაითვალისწინოს ეს მუშაობა და ყოველივე ღონისძიებანი უნდა მიიღოს მისი წარმატებით გატარებისათვის.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა აღმშენებლობაში კულტურული მუშაობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეა.

მაშ, უსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენ ახალ საბჭოს!

ა ბ ა ბ ი

1915 წელს, 8 თებერვალს, ღამის 1 საათზე, თავის საკუთარ სოფელს სხივტორში (ს.ჩხერეში) გარდაიცვალა აკაკი და საქართველოს ფიროზ ცას მოსწყდა ერთი დიდი შექურთვარცხელა.

ათი წელიწადია სწორეთ მას შემდეგ, რაც ქართველობამ დაიწყო მისი სასოფლოზე დიდის აზებით დამარხა ეროვნული დიდი ქართველი და მგოსანი, მეცხარამეტე საუბუნის რუსთველი — აკაკი.

საუკუნოთ დადრემა ამ საოცარი მდიდარი ივერიელის „ხმატკილი და საამური ჩონჭურის სიმები“, რომლის კენესა ქართლოსიანთა ერის ღრმა „მწარე მოთქმას“ გამოხატავდა, ჩონჭური, რომლის ხმაზედაც მგოსნის სიმღერა დამაგრულის თვალს მწარე ცრემლებს უშრობდა და მხავრელის-კი გულში ძვერით ისარივით ესობდა. მოკვდა მგოსანი, რომლის მადლიანმა კალამმა უკვდავ-

ჰყო ქართული ენის სიმდიდრე—მშენიერება, ქართული ლიტერატურის საგანძურში შეიტანა მდიდარი მარჯობები, მოსიყვარულე, მგზნებელი გულის კეთილშობილი ზრახვანი და მაღალი გრძნობა-გონების ღრმა ნაფიქრი და ნაზარი.

აკაკის ლირიკისა, საზოგადოთ, ლიტერატურული ღვაწლის სიღაძე და მნიშვნელობა პირდაპირ ფასდაუღებელია.

აკაკი იყო მთელი თვისი დიადი არსებით და სულიერ მდამარეობით ნამდვილი, ჩვენებურათ რომ ვთქვათ, თმავაშლილი საქართველოს ქირისუფალი და სთქვისი, რადგან საქართველოს ტროფობის გულისთვის უარჰყო სიამენი სოფლისანა. მუდამ და ყოველგან ამ საქვეყნო დიდი აზრით იყო გამსჭვალული და მარტო იმას ფიქრობდა, თუ რა მოელის მომავალში მის დაობლებულ მამულს.

აკაკის ჩანგურის სეღიან კენესას საზღვარი არ უნდა ამ მხრივ ის გაუთანასწორდა მსოფლიო გოდების დიდი პოეტებს. ეს მოტივი ერთი უღადესი და უმთავრესი მოტივი იყო მთელი მისი სულიერი მდგომარეობისა. კერძოთ მისი არსებითი ინტერესებიც-კი მივიწყებული ჰქონდა მას, ცოლი და შვილიც, თუ შეახსენებდნ თავს, თორემ ისინიც მავიწყებელი იყენნ მისგან.

თვისი სულიერი მიდრეკილება და საზოგადოებრივი დანიშნულება მგოსანს გამომხატული აქვს „თამარ ცბიერ-ში“. თამარ ცბიერი ამ წუთისოფლის სიამეთა სრული გამომხატულებაა, მგოსანი გოჩა-კი მამულიშვილის თავგანწირულობისა. გოჩა უარჰყოფს უმშენიერეს თამარის სიყვარულს, რადგან თამარის სახელთან ერთად მის ეხატება

„მომაკვდათ კენესა,
ქვრივ-ობლის წყავა,
ქვეყნის ლაღი,
ერთა ვერდება,—“)

და ეკლის გვირგვინს არჩევს!

აკაკის ლექსში—„აღმარო-აღმარო“ ჰენიოსის ტრანტიტი არის გამომხატული ადამიანის სულიერი განვითარების, შეგნების საფეხურები. ამგვარი განვითარება ადამიანს ჯერ ზრდის, აჩვენებს, ამხნევეებს, აღაფრთოვანებს, შემდეგ, განვითარების მწვერვალზე, საიდანაც კაცი ნათ-

ლად ხედავს ყველაფერს, აესა და კარგს, სიკეთესა და ბოროტებას, სწორსა და მრულე გზას, მას აკლდება სულიერი წონისწირობა და სასოწარკვეთილობის ძღვევა ხშირად. მარა იმ დროსაც-კი, როდესაც მგოსანის სულიერი წონისწირობა მერყეულია და მისი გული საუკუნოთ იკოდება, მას მაინც კიდევ თვისი სათაყვანებელი სატრფო ახსოვს, თვისი ღვთება—მამული-ქვეყანა. და ეს ის საოცარი ერთია, ის გაუწულეებელი ცეცხლია, ის დაუმრეტელი გულისთქმა, რომელიც თანა სდევს თითოეულ დიდ ბუნებოვან ადამიანს, ანიჭებს მას ბოროტებასთან ბრძოლის ენერჯიას და იფარავს სასოწარკვეთილების განმანადგურებელი, დამამაშვნებელი გავლენისაგან.

ლექსში—„საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე დაარგულიყო,“ რომელიც წარმოადგენს თვისი პარიონიული წარმტკიანი ხმატკილობითა და უნაზეს სევდის მომგვრელი კლითი შეუღადრებელს საგალობელს, იგივე აკაკის დიდი სატრფოა ნავულისხმევი.

„თავს ვადგვიარ მისი ქირისუფალი და გულს მწვავს მწუხარების მე ალიო,“ ამზობს მგოსანი ერთ თავის მშენიერ ლექსში. მაგრამ, იმავე დროს, გულს არ იტებს და ღირ ახსოვს თავისი დიდი მწუხარება და სატკივარი, როცა სატრფო ცოცხალ-მკედარი ეფულება.

და აკაკის უცვლავი ლირიკის ერთი დიდი ღირსებათაგანი ის არის, რომ გულში გაუქრობულ იმედს გვიღვიძებს და სამოქმედო გეგმებს.

არ მომკვდარა, მოლოდინ სძინას და ისევე გაიღვიძებს,“ ამზობს ჩენი მგოსანი თავის სატრფოზე. და ეს დიდთ გამამხნევებელი იმედი სასიცოცხლო, სამზარულო, სასიმღერო, აღმაფრთოვანებელ კილოს ანიჭებს მის უტრფოებს, ნაზსა და მდიდარს საგალობელ ლექსებს, რომელთა ნაქაღულისებურ მჭქეფარ სრბოლა სიცოცხლის ენერჯიას გამომხატავს.

ამგვარად, აკაკის ლირიკა არის ცოცხალი, ფხიზელი, ენერჯიული, მოქმედებითი, სიცოცხლის შემაყვარებელი, იმედის გამაღვიძებელი და ბრძოლისადმი წამაქეზებელი.

ეს დედა-აზრი უღვევს სარჩულით მის პოემებსაც: ბაგრატი დიდს, თორნიკე ერისთავს და სხვ., აგრეთვე დრამატულ ნაწარმოებს „პატარა კახ“-სა და ბევრ სხვა მის მოთხრობას.

ხომელი.

აკაკი წერეთელი

რამდენი სიყვარული და თბილი გრძნობაა ამ ორ სიტყვაში ჩამარხული.. რამდენ სიამონებას და რამდენ აზრს იწვევს ყოველი ქართველის გულში..

აკაკი საყვარელი პიროვნება მეორე არ ახსოვს ახალ საქართველოს: ყველა ტკბებოდა მისი ქნარის ელერით, ყველას ხიბლავდა იგი.

მედიარი და ღარიბი, ბედნიერი და უბედური—ყველა სასოებით შეჭურვებდა მას, ყველას აღტაცებს გვრიდა მისი მოსენა.

აკაკი წერეთელი..

ამ ორ უბრალო სიტყვაში მთელი ეპოქა ჩამარხული, ეპოქა განახლებისა და აღორძინების, აყვავებისა და ამეტყველების.

ეპოქა ფეხზე დადგომისა და დაკეცილი დროის გაშლის..

მთელი ნახევარი საუკუნე, ვით ჰელადის ჰომეროსი, დადილია კიდით-კიდე იგი და მომხიბლავის ქნარის სიმეზღ ჯადონსურად დაღადება, იმდროინდელი და სხვებსაც ამტკებდა, გალობდა და სხვებსაც ევალომბდა...

აკაკიზე უფრო მძლავრად არავის შეეძლო მსმენელთა დატყვევება, ხელოვნების უდიდესი მიმზიდველობით ძალა აკაკიმ გვაგზნობინა.

„ალარა აქვს ბოლო ამ ჩემ სატანჯველს“,

* რუსეთის კრიტიკოსმა, თვით აკაკის ნაამბავნავარმა უნგრ-სიტტში, სკაბიქ ქეში კრიტიკულათ გაარჩია აკაკი ეს საუკუნო ნაწარმოები, მაგრამ ნაწარმოებს აზრი ვერ გაუფო და პირველმა გარჩევა გამოუვიდა. ავტ.

კენსოდა იგი და მასთან ერთად ჩვენც გვაკენსებდა.

„...მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ“, ასე იწოდა იგი და ჩვენც მასთან ერთად ვიღაცებოდი.

„აა, აყვავდეს იმედო, გულს ვერ გამიტებს ქალაქა!“

დაიკენსებდა აკაკი და ჩვენც მასთან ერთად იმედი და სასურველი გვეუფლებოდა, მკისვე ზურგს ვაქცევდით წყველ აწყობის და დიმიტრაიანაშენებელი გავკვირდით:

„ამ დღეს ველოდი, მოვეცნობარ, ვიციანი, აღარ ვსტირიო მე... ახალგაზრდებო, გამოიდი, გამოიდი თქვენი ქირიმე!“

აკენსებდა აკაკის ქნარი და ჩვენ თვალდაუწყებებით გადავყვით პირველი რევოლუციის ტრადეში; ჩვენც ვამოვედით ჩვენი ჰომეროსის მოწოდებაზე, არ შშგვეძლო ასე არ გვექნა...

იმითომ რომ... აკაკიმ შეამკო „ქართველ გმირთა მხარ-შკალაზე“ შევავყვარა თორნიკე, პატარა კახი...

იმითომ, რომ აკაკი იმღეროდა

„რომ დაზაგრულს იმ სამეფოთი თვალით ცრემლები ეშრობოდეს და მზაგვერდს კი გულში ძვრიით ისარაგეთ ესობოდეს“...

ასე გვემღერდა აკაკი და ჩვენ შეგვეძლო ამ სიმღერისთვის არ დაგვეყვებოდა?

ამ სიტყვების შემდეგ განა შეეძლო ქართველ კაცს მზაგვერდს არ ძვერებოდა? მაშინ ის ქართველი არ იქნებოდა, მაშინ მას აკაკი არ ეყვარებოდა...

და იყო ვინმე ისეთი, რომელსაც აკაკი არ ყვარებოდა?

ეს იქნებოდა თავისივე თავის არ ყვარება, საკუთარი წმინდაგრძობის შებღალვა, აზრთა აღმაფერენის ძირს დანარცხება...

„გავლესოთ, ძმებო, ნამგალი, ჰური შეგვექნა სამკალი“

ამბობდა აკაკი და ჩვენე მუშებიც ალტაცებით ტაშს უქრავადენ მას.

„ვისაც რა უნდა უყვარდეს, სულ სხვაა ჩემი ტრადიცია“

მიყვარს პირწმინდა ნამგალი, მისი ყანაში ტრიალი“.

გალობდენ აკაკისთან ერთად ხელმედაკოერილი გღუმეში... თქვე იღებოდა „ამწალკოტე ტრადიცია“, რომელიც ჩვენი ცხოვრების განსახლებლად ემზადებოდა...

*

აკაკის დრო უდღედესი შინწმობის დრო იყო ქართველი ერის ისტორიაში: ძველისძველ ერს არ სამუდამოდ უნდა მიესვენებია აზიური კულტურის წიაღში, ანდა ევროპიული ცხოვრების ათვისების ნიჭი გამოეჩინა, მეტი გზა არ იყო: არ სიკვდილი, არ სიცოცხლე...

თვითმპყრობელმა ოროთავანმა არწივმა მრავალი ტყევილი აგრძობინა მას, მაგრამ თავის კლანქებში მოფართხალე არსებნ გამოიღმების საშუალებაც მისცა: ახადა ძველი ეკონომიური ბრკილები—მოსუსი ფეოდალიზმი—და დროის შესაფერ ნიეთიერ ნიადაგზე გადაიყვანა იგი; თუმც ტლანქად და მოუხეშავად, თუმც ისტორიულ კანონთა უწყობა შეგრუნებინა, მაგრამ ფეოდალიზმით დასაქსული ნაციონალური სხეული მაინც გაუმთლიანა მას: საქართველოს ორივე ნაწილი ლურსმებანი ჩე-

ქმითა და მოზუზუნე ნავიკით გააერთიანა. საქართველოს დაუღვა საშინელი გამოცდის ხანა, მაგრამ სახელოვნად გამოვიდა იგი ამ განსაცდელისაგან: მრავალხანოვანმა კულტურამ თავი გაიტანა.

მთელი ნახევარი საუკუნე ქართველი ჩაფიქრებით შეჭყურება—ყოფნა-არყოფნის საკითხს, 1801 წლიდან დიდხანს უღდა იგი გზაჯვარედინზე... და ბოლოს აუქარებელივ გაჰყვა ახალ ნაკადულების ჩქეფას: ხელახლა წარიწო სიცოცხლის აკვანი, ამუშავდა აზრი, ამტკეველიც იმ ენა...

ამ ეროვნული აკენის ერთი წამარწყვთავანი აკაკი წერეთელიც იყო.

მის არსებამში მრავალ მხრივწინააღმდეგობას მოეყარა თავი, მისი სული და გული მრავალ მოწინააღმდეგე აზრებსა და გრძნობებ შუა იყო მოქცეული.

მდგომარეობით და აღზრდით არისტოკრატია, დატვირთული ძველის ტრადიციებით და ფეოდალურის მირაქებით. დრო კი შედარებით დემოკრატიული. აკაკი იძულებულია დაესწროს საკუთარი—შშობელი კლასის დასამარებას, უნდა დაიტეროს იგი, უნდა დაასაფლავოს, როგორც ქირისუფალმა...

მაგრამ, ვაი, თუ სამარადისო გლოვამ შეიპყრას იგი და დაუსრულებლივ იტეროს „ბაბილონის მდინარეთა ზედა“, ზურგი აქციოს სამარის თვითან გაშლილ ახალ ყლორტებს.

აკაკი ამ განსაცდელისთან დაფიქსება მისმა მხატვრულმა გენიალობამ და იმ მუდამ თავშეუცხებელივ მიქეფმა გრძნობამ, რომელსაც ეწოდება სიცოცხლის წყურვილი, განსახლებისკენ ლტოლვა.

ის დიდხანს ჰკვიდებდა ძველ სასაფლაოზე, სიკვდილის უქანასხელ წლებშიაც არ დაიწყებია ეს გრძნობა მას, აქ დაიწინა მან, „მდღურარბანი გულისა“, მაგრამ მხატვრულმა ალიომ მაინც თავისი გაიტანა და აკაკის მძღავრება ნიქმა მაინც ახალი ცხოვრებისაკენ გამოსატურავი ნავი იპოვა.

„ფუროხის ღირსი ხარ შენ საქართველო!“

მიამახა ძველ, დრომოქმულ საქართველოს და მძღავრად გამოეცხა ახალ სამშობლოსკენ. იქ, ძველ მირაქებში, აკაკი იღრჩობდა და სულის მოთქმა უჭირდა, იღუპებოდა და იზარწყებოდა მისი ნიჭი...

ამითომაც ეკვეთა იგი ახალ ნაპირებს.

მისი შემოქმედების მრავალფეროვან წახანგებში მთელი ჩვენი ცხოვრება ასახული ხელოვნებად, წარმტაცად და მომჯდომებლად.

სწორედ ამიტომ არის ყველა ქართველისათვის საყვარელი აკაკი წერეთელი, რომელიც ემბლემაა ყოველივე ღამაზის, მომხიბლავის, ამამაღლებელისა და გამამხნეებლის.

მან ამირანულის თვალდებით ჩამოიტანა ციდან ხელოვნების ცეცხლი და თავისი მომხიბლავის და უბრალო ჯადოსნური სიტყვით განუყვარად შეეთვისა ჩვენს სულსა და გულს...

აკენის პირველ წარწყვეიდანვე გვესმოდა დღვის ბავთავანი— მისი წინაა, სიპატუქშიც მასთან ერთად ავილიოთი „აღმართ აღმართ“, მასთან ერთად გვინატრია სამარე და ლოდები, გვიმღერია:

„შენი ვარ, შენთვის მოგვადები, შენწინვე მგლოვიარო!“

სიყვარულით გვიტრიალებია მისი „ხანჯალი“, მტრის გულის გასაპობად რომ გავლესა და...

ამიტომ ვეთავყვანებთ მას, ამიტომ ვერ ვივიწყებთ მას...

ვარლამ ხუროძე



სპაკის კორტრეტები

კარგი იყო აკაკი ქუჩაში, იგი აქ ბურჯულ მინახავს... მალაი, ბექეძეში ცოტათი მოხრილი, კისერი მოღვრილი ისეთიარაბი, რომ მისი თეთრი თმით დეფარულ თავსა და სახეს არწივსებური გამოეტყველება ჰქონდა, კობი თითქოს შეკრული, მაგრამ თვალები ბრწყინვალე, დინჯე, ქვიპანი გამოეტყველი, აუქჩარბელი მოსიარულე, და მუდამ მომიღმარა...

პირზე ღიმი მისი სახის მეტყველების ერთი უმთა ვრცის თვისებათაგანი იყო და ეს ღიმი რაღაც თავისებური, მხოლოდ და აკაკისებური იყო: მასში თქვენ წაიკითხავდით სიამოვნებას, ქმუნვას, სიხარულს, მწუნხარებას, დალილობას, მოსკენებას და კიდევ ბევრს რამეს. მისი სიტყვები: „ვინ რა იცის, რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა“, გვონებ ამ ღიმის წიაღიდან უნდა იყოს გადპოტორცნილი.

ყოველი გამველი, თუნდაც ისეთი, რომელსაც აკაკი არასრდის არ ენება, უნებლიეთ შეაშტერებდა თავს და უნებლიეთვე ამ მოხუკის სილაღეს იგრძნობდა. მოშორდებოდა და ეკითხავდა:

- ვინ არის ეგ მოხუცი. სალდე მინახავს!..
- აკაკი, განა მისი სურათი მაინც არ გინახავთ?
- ჰოო—როგორ არა, აკი მიკვირდა.—მორცხვათ ჩილაპარაკებდა და დამნაშავესავით გაიპარებოდა...

ღილა, ასეთი შემთხვევა ძლიერ ხშირი იყო. მართლაც აკაკის არ ცოდნა, მეტად ვიტყვი, არ ცნობა პართველი კაცისთვის დიდ დანაშაულთა ითვლებოდა, მას ყველა იცნობდა, ყველა პოვებდა მასში თავის გულის პასუხს და ამიტომაც დაერქვა მას—**ხალხის გულის მესხიდულე**.

* *

თვლწარმტაცი და ანდამატივით მიმზიდველი იყო აკაკი მოუბარი...

ასეთი სურათი მახსოვს: იგი ერთხელ ქუთაისში ლექციას კითხულობდა თავის საყვარელ თემაზე: „ხალხური სიტყვიერება და მისი მნიშვნელობა“. დარბაზი გაქვდილი იყო, ყველა მოთუხნილად ელოდა ფარდის ახლას... აიხადა კიდევ, მაგრამ ორგანიზატორი იყო სკენა: ლამაზი ოთახი, ხალიჩა გაფენილი, საწერი მაგიდა, ერთი სკამიც, სკენა სიბნელით იყო მოცული, ამ სიბნელის მხოლოდ მაგიდაზე მდგარი ორი დიდი შანდილიან მოლაპლაპე სათნოს ცეცხლის ენები არღვევდა და სკენას რაღაცა მისტიური სახე მისკემოდა. გამოვიდა აკაკიც, დადგა მაგიდასთან შანდილს შუა, სათნოს მუქმა მისი სახე ააბრწყინა, ჩამოაქანდაკა, მკათოე გახადა და თითქოს შარავანდედით შემოსა... დარბაზში ბუნის გაფრენასაც კი გააგონებდით, მუდამ მლეღვარე და შფოთი ქანდარაც კი სამარისებურათ სდუმდა... ასე ძლიერი იყო აკაკის ჰიპნოზი.

დაიწყო ლაპარაკი: ნახი ხმა... დინჯე... მკათოე... ზომიერი აწვე-დაწვეა. აკაკის ჩვეულებრივი კონტაქსტები. მომზიდველი ღიმი და შიგადაშოვ აკაკისებური მოქნილი, ნაღვლიანი ნაკვეთი...

ის მაშინ უღანბნოში ლტოლვილ მესსიას ჰგავდა, რომელსაც შეეკრება მოწა ევები და ქეშმარიტებაზე ესაუბრებოდა.

და აკაკიმ ყველა დაიმონა... სულგანაბული უსმენდენ... აჰა, რაღაც ლექსი უნდა მოიგვენოს, დაიწყო კიდევ, განავტობ, მაგრამ უცებ შეჩერდა... უშებლზე ხელი მიიღო... თავიდან დაიწყო და კვლავ შედგა... ყველას გულები ამოძრადდენ, უხერხულობა და ნერვიულობა დაეტყუა.

— უკაცრავით, ჩემი ბრალი არ არის, მოხუცებულობამ გულ-მავიწყობა იცის.— ჩილაპარაკა დიდებულმა მოხუცმა, თავზე ხელი გადისვა და ვაიცინა...

„ვინ არ იცის, რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა“, გაუელა ყველას აზრმა, ყველა გამოფხიზლდა, შექანა ტანის გრაალი: „ვაშა აკაკი, ვაშა“, ყვიროდა, ქანდარა... „დაბრძანდით, თქვენ დაილაღეთ“,—ისმოდა დარბაზიდან.

— გამაღობთ თავაზიანობისთვის, ცოტა დამრჩა სათქმელი.—გაისმა პასუხი... კვლავ სამარისებური სიჩუმე... კვლავ აკაკის მომზიდველი საუბარი ..

ეს სურათი ჩემსა და აღბად იმათ გონებაშიც ვინც მაშინ ქუთაისის თეატრში იყო, წარუშლელი იქნება...

ყველგან თვლწარმტაცი იყო აკაკი მოუბარი და მე კი მკრთალი სურათი ძლიესდა დავახატე...

* *

ძლიერ მიმზიდველი იყო აკაკი სუფრაზე: იგი პირველად თუ არ ვცდები 1913 წლ. ენახე, როდესაც ქვემო იმერეთში მოგზაურობდა, სახელადობრ მ. მუხიანში... გაიმართა სახეიმი ნადიმი, აკაკი მბრძანებელი სუფრისა საპატიო ადგილზე იჯდა, მას გარს თანამოკალმენი უსმენდენ...

თვალს ვერ ვაშორებდით, ყოველი მისი შეხედვა ყველას სასივებს გვირდა: მზიარული, ოხუნჯი, მოკლე და შინაარსიანი სიტყვების მიქმელი სხვა და სხვა სავირბორტო საკითხებზე, რომელსაც თამაშ შეეხო, ზოგიერი შემთხვევაში მადღური გადალაპარაკება, გადახედვა ახალგაზრდა ქალენასაკენ და აკაკიმ ჩვეულებრივით ყველა ჩაიჭირა, ყველას ყურადღების ცენტრში შექანა... აჰა, გაათავა აკაკიმ სიტყვა, იგრიალა ტანში. აკაკიმ მაღლობა გადაიხადა და ჩანგალს მოკიდა ხელი.

— ბატონო აკაკი! მიირთვით, რა არის სულ არაფერსა სემში! ისარგებლ შემთხვევით ერთმა ქალმა, გა-მოიუხუმია მას და სანოვავით სასვე ზონჩა მიაწოდა...


— გამაღობთ, დღით გამაღობთ, მე ჩვენი ხალხის ამღენი პატევისცემით და გულას სითბოთი ვაგებხე, და-თვეერი კიდევ.— გაისმა აკაკის პასუხი, ცრემლად მოერიო, თვალად ქალს ჩააკვსა, რომელიც კრძალით შესტერბო-და დიდებულ მოხუცს... მაგრამ ყველაფერი ეგ კინოსე-ბური სისწრაფით, შემდეგ ცოტათი შეჩერდა და ისევ ჩვეულებრივი მომიღმარა აკაკი კვლავ ჩაერია სუ-ფრის მონაწილეთა ფერულში...

ღიას, ყველგან და ყოველთვის ასეთი მომზიდველი იყო დიდი მგოსანი. მას აუარებელი პატივმცემლები ჰყავდა, ყველა იცნობდა, მისი შეხედვა ყველგან გამარჯვებულ რომაელ სარდალთა ტრიუმფს ჰგავდა და მან ეს ყველაფერი სრულად კანონიერათ დაიმსახურა.

სერ. გერსამია.

სერგო ივანეს ძე მვლახიშვილი

(25 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილეს გადახდის გამო)



ტერინოსლავს, პალტავას, შემდეგ ციმბირის ყველა დად ქალაქში ირკუტსკამდე; მღერ. ბაქოში და მოსკოვში ერთი სეზონი იმღერა სოლოდენიკოვის კერძო თეატრში, ორი—სახალხო სახლში.

ტვილისში მღეროდა 6 სეზონის განმავლობაში: სამი სეზონი — ფიგნერ-დონელ-ეახენვალდთან, სამი ივ. ფალიაშვილთან. 1913 წ. მეთაურობდა საოპერო მოვზაურობას კავკასიაში და კერძოთ საქართველოში; 1913—1918 წ. ხელმძღვანელობდა ტფ. სახელმწიფო ოპერას ამ დროს პარველად დაადგა სცენაზე ქართული ორიგინალური ოპერება: დ. არაყაშვილის „თქმულება შოთა რუსთველზე“, ზ. ფალიაშვილის „ბესალომ და ეთერა“, და ვ. დოლიძის „ქეოი და კოტე“ იმეამად შემდგარ ოპერას მსახიობთა და მოსამსახურე რეპარტევი კლექტივის მიერ ერთხმად იქნა არჩეული მოთავედ.

1919 წ. მთავრობის მიერ დაინაშნა საოპერო დასის დირექტორად. 1921 წ. თებერვლის 26-ს თეატრის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ არჩეული იქნა ოპ.თეატრ. გამგედ და ხელმძღვანელად, რის შემდეგაც განათლების კომისარიატმა დაამტკიცა ოპერის პასუხისმგებელ წინამძღოლად.

1922 წ. აპრილის 1-ს დასისმთავრ არჩეულ იქნა საოპერო მსახიობთა კოლექტივის მოთავედ.

1923 წ. ზამთრის სეზონში ტფ. საოპერო დასის უფროსად, ამავე წლის ივლისში დაინიშნა ოპერის თეატრის გამგედ.

1924 წ. დაინიშნა ოპერის და თეატრის გამგედ.

1900 წლიდან ირიცხებოდა რუსული სათეატრო საზოგადოების ნამდვილ წევრად მოსკოვში, 1917 წლიდან ტფ. სკენის მუშაკთა და მოღვაწეთა პროფესიონალურ კავშირის წევრად; 1921 წ.—ან საქართველოს „რაბის“-ის წევრად.

ოპერის მსახიობი—ბარიტონი. დაიბ. 1873 წ. ტვილასში, სწავლ. პირველ გიმნაზიაში: მუსიკ. განათლება მოსკოვის კონსერვატორიაში, კურსა დაასრულა იტალიის ქ. მალანში. პირველად სცენაზე გამოვიდა 1897 იტალიის პროვინციის ქალაქებში. მღეროდა ფუსტს, ტრუბადურს, ერნანს, ფოკორიტკას და სხ. საარტიტო კარიერა დაიწყო 1899 წლიდან ქ. პერმში. მღეროდა ბარიტონის ყველა საპასუხისმგებლო პარტიებს, გადავიდა ყაზანს (ბოროდიის ანტრეპრიაზა), ასტრახანს, ადესას, ხაჩოვს, პეტერბურგს, ქემუო-ნოვგოროდს, ვიტომირს, ეკა-

პირველი მსხვერპლი

(დასასრული იხ. „თ. და ც.“ № 3)

VII

დილა. გრგვინავენ ნათის ქარხნები, ციკვენ ღვედები და მანქანები, და ელექტრონი, ნაჩირაღდნები, აწივლებს ხერხებს მცლე გაქანებით; და ქუშებიდან მოწითლო ალებს გამოუყვითა გრძელი ენები, ჰკოცნიან ჰაერს და მუშის თვალებს... მიდი-მოდიან თუნუქთ ფენები; არის ხმაური, აურზაური, ორთქლი და კომლი, ბული და მტვერი, შრომა უწყვეტი და უსწაური... დაკიმულ კუნთებს ჰბანს ოფლის ჩქერი. უკვე შესრულდა ათი საათი

და უცებ... ქარხნებს ხმა გაეკმიათ და გამოვიდენ ვარედ ტაბათი ყველა მუშები, მწყობრად და მშვიდით. და გაიშალა დროში წითელი, ნაქარგი, როგორც ჩოხა სანფო: „ძირს კაბიტალი—შხამის მტვროთელი! დიდება შრომას და მის სამეფოს!“ და გამოსწიეს ქუჩისკენ ნელა: მოდიან მწყობრად, ვით ხაზნი ზოლის, და, შემთხვევისთვის შემდგარი ხელად, გუფუნებს გუნდი და ჰიმნი ბრძოლის: „შრომის შეილებს ეერ გვაქანებს გოჯობეთის მეხი,

დაესტრიალებთ თავს მანქანებს,
მკვიდრად გვიდგას ფეხი,
შემოქმედი ჩვენი ხელი
ციბრუტივით ბრუნავს,
მაგრამ ოქრო—გულის მხვრელი
სხვის ჯიბეში სცურავს!
რატომ არის დახლართული
დღეს ცხოვრება ესე:
ხარობს, სტკებება ყველა თული,
ჩვენ ბედი შხამს გვასმევს!
ძველი ქვეყნის განათება
ჩვენს გულს როგორ მოხედეს?
მას არა აქვს გამართლება
და ის უნდა მოჰკედეს!
ახალ ქვეყნის ახალ ტაძარს
ჩვენ თვით გავაშენებთ,
ზედ მოვაცაოთ ძმობის შაქარს,
შრომით დავამშვენებთ!“

და, როგორც ზეირთი ავორებულნი,
მოიწეეს ნელა მუშათა ტალღა.
წინ უძღვის პეტრე გალომებული
და მის თვლებში მზე ბრწყინავს ლალად.
და უცებ, ჰოი, საშინელება!
აენთენენ ცეცხლით თოფის ლულეები
და ასისინდენ წითელ გველებად
ტყვიები—კუმბის მოციქულები.
დაეცა ერთი, დაეცა ორი...
ქუჩა და ველი სისხლმა შეღება
და აირიენ ერთმანეთს შორის:
კენესა, მუქარა, მეთრახთ შეკება.
ბევრი დაიჭრა და ბევრი მოჰკვდა,
ბევრიც შეიპყრეს, ბრძოლით დაღლილი...
და ჩვენი გმირიც ციხეში მოჰხვდა
და იჯდა წლობით, ბორკილ-გაყრილი.

IX

მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავთა კრება
ისე ციმციმებს, ისე ანთია,
თითქო კოკონის და ქარის ვნება
ერთიმეორეს გადახლართვით;
და ვარსკვლავთ შორის ვაისილი მთვარე
ისე დასურავს, მზისგან ნახური,
და ესერის სხივებს—ამ ვერცხლის სარკეს,
როგორც ქვეყრიდან შეხფებს კახური;
და მთვარის შუქზე ზღვა, პირნასარკი,
ისე ლაპლაპებს, ისე ეღვარებს,
თი ცეცხლი პირველ ვითქვის ასაკში,
აღით რომ წვდება მაღალ მწვერვალებს;
და ზღვის ნაპირას, მარტო და ოხრად,
სღვას ციხე ისე ჩაზნელებული,
როგორც შვილმკვდარი იმერლის ჩოხა,
ძაძა-ფლასებით დაკრებული;
და მის კედელზე ფანქარით შავით
ვიღაც პატიმარს, როგორც ბარათი,
გესლით აღსავსე და დაღცინავე,
წაუწერია ლექსი მარადი:
„აღსდგა ბაღლინჯო—ტლითა ლაშქარი,
ომი აშკარი გამოავიციხადა,

არ დაგვიცადა, რომ ჩვენც აბჯარი
აველო, მკლავი გამოგვეცადა;
მოლოდინულად დაგვეცა თავზე,
ვარი სთქვა ზაფხე და გვეკრა ლახვარი,
სისხლი ნალვარი, უმეტეს ზღვაზე,
ჩქეფს და გვეკვება გულში ზრახვანი;
სხვა პატივცემაც აქ არ ვაგვლია:
განა ნაკლია ეგდო ნავაგში,
გშლიდეს განვაში, და ჰურს მატლიანს
სქამდე, ჩაბუთულს რისლაც ნახარშში;
მარად დაბნული გვინდებს ქარები,
ცივი ქარები ფანჯრით გივლიდეს,
ვიღაც კივლიდეს ქალი თვლები
მუდამ გიცქვრდეს, მუდამ გითვლიდეს!“

X

აქ, ამ ციხეში, ბორკილ-გაყრილი,
ზის ჩვენი გმირი მრავალ წელი.
ესაუბრება, შეგ ფრთებ-დახრილი,
მარტოობა და კოშმარი მწველი.
იმ დღიდან, როცა აქ ჩასვეს იგი,
და ამ ბნელ სახლის შექმნა წვერი,
სხვა და სხვა სასჯელს უცვლიდნენ რიგით...
ბევრჯერ მოჰბრუნდა მის თავზე კვერი:
შანთით დადაღეს, წყებელი დაჰკრეს
თავზე მუხრუჭი შემოუჭირეს,
სიბინძურეშიც მრავალჯერ კაჰკლეს,
და მათრახები გადაუჭირეს.
ოქროც აძლიეს ბევრჯერ უთვლელი,
რომ თვის მხარეზე გადაეყვანათ,
მაგრამ ბოლომდე დაინა უშვლელი:
არ დაიგაწყა შრომის ქვეყანა!
დღემდე ვერ ტებდა ტანჯვა, საკანი,
დღემდე არ იყო სულით მოღლილი,
თვალის წინ ვეღა ორი სავანი:
ცირა და მუშა, წელში მოხრილი.
მათდამი ტრფოვით მუდამ გულსავსე,
ფიქრობდა ასე, მღეროდა ასე:
„ორი ტყვე: მუშა, ქალი,
გარს არტყიათ რკინის რკალი,
და ვისაც სურს ქვეყნის შევლა,
დე შემოკობენ მათ გარს-ყველა!
დაეკრათ ურო ამ ბორკილებს,
ტანჯვასთან რომ გვაბორკილებს!
დეე მოჰხვდეს ტალსა კვერი,
და დაიწვეს ძველი წესი,
ახალ ქვეყნის ცეცხლის თვალში
ათამაშდეს ჩვენი რაში!“

XI

დღეს კი?.. ახ, დღეს კი საშინელება
თავზე დაატყდა ორკეცის ძალით,
შემოესია ცეცხლის გველებად
და სამუდამოდ დაფერვა ალით!
მიიღო უცებ ბარათი ცირას,
სადაც სტიროდა დამწვარი სული:
„ძვირფასო პეტრე! დაიმსხვრა წყირა
სამარადისოდ დაჭრილი გულს!“



შენზე მტირალი და მეოცნებე,
ფულზე გამყიდა მამა უგულომ;
გამოსავალი სხვა ვერ მოესძენე;
და დღეს თავს ვიკლავ, ჩემო ბულბულო!
მუხთაღმა ბედმა ისარი გვეტოვრენა
და ქარიშხალმა ზღვაში ჩაგვიყრა...
უქანსანელი მიიღე კონცა
და დაივიწყე შენი აწ ცირა!
გადაიკითხა: თავი დაზხარა,
გაშრა, გაშეშდა, ეცეკლა ფერი,
ერთი საშინლად გადინახარა...
და დაივიწყდა სუველოფერი!

XII

მსურდა წერტილი დამესვა აქ მე,
მაგრამ მომესმა თქვენი მღერა:

გ. რუხაძე.

რ ის თ ვ ის ?

(წარსულიდან)

გიგო მოწყენილი და ჩაფიქრებული იჯდა თავის ღარიბულად მორთულ ოთახში. საშინელი სანახავი იყო ამ საღამოს. მის სვედით დანაოკებულ სახეს კიდევ მტერ ტანჯვა ეწმენდა: სულიერ სიმშვიდეს უკარგავდა ხვალინდელი დღე, რომელიც უსახლოვო განსაცდელს უშაზღებდა.

გიგო თამბაქოს ერთ-ერთი ქარხნის მუშა იყო. რევოლუციონერ მუშაობაში პირველი ალავი ეკავა, იყო კარგი ორგანიზატორი, ნიჭიერი ორატორი, მუშების სული და გული: მუშები მას ყველგან ირჩევდნენ; გიგოც თავგანწირვით იცავდა მათს ინტერესებს და ამიტომ გიგო უსახლოვო ნდობით იყო აღტყვილი.

თვითმპყობელურ, სულის შემხუთავ წყობილებას გიგო მთელი თავისი არსებით ებრძოდა. მას ღრმად სწამდა მომავლის დიდი გამარჯვება და ამიტომ სასტიკ წინააღმდეგობას უწყევდა ყოველგვარ იერიშს, სამართლიანობის წინააღმდეგ მიმართულს.

სად არ ნახავდნენ გიგოს,—ვერის უბანი, ნაქალაქევი, ავლაბარი, ხარუფხი, ნავთლული,—აი გიგოს სამოქმედო ასპარეზი, და ეს ხდებოდა ცხრა საათის მეშაობის შემდეგ, როდესაც მანქანების ბორბლები დილამდის შესწვევტდნენ გრაალს. გიგომ აი ციკლა დილაღე, ჩუმად, ღამის წყვედალში ის მიიპარებოდა იქ, სადაც მას უცდადა დარბაზული მუშათა ღაშქარი მუშათა უბნებში, და ამ ღაშქარის ის ამხადლებდა, რევოლუციონერ სულს უდგამდა, აღფრთოვანებდა მომავალი ბრძოლებისთვის. მომავალ შეტაკებაათვის. გიგოს ვერასოდეს ვერ ნახავდნენ სასოწარკვეთილებაში, და ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ გიგო მუდამ მოუსვენრად მუშაობდა, მედგრად იღვდა ბრძოლის ველზე და მის გარშემო თავს იყრიდნენ მოწინავე ჯგუფები.

სათო—გიგოს ცოლი, რომელსაც ამ ერთი კვირის წინეთ ორი ბავში ერთად დაბადებოდა—ადა იყო. სათოს გამხდარი სახე, ჩაქვიწეული თვალები და სისათლე, გამდგარი მოკაფვე ლოყები ამტკიცებდნენ, რომ მას სტანჯავდა ისეთი სენი, რომელსაც ადგილად მიიღებს ადა-

—მუშათა საქმე?—მუშათა საქმე?
და ხელმა ისევ წერას უჩქარა.
რომ იდეის ციხე ვერ მოჰკლავს,
რომ ბორკილები მხოლოდ ხორცს ბორაკეს,—
ეს ყველამ იცის ახლა, მგონია,
ვის დამბლა არ სჭირს და აგონია.
პოდა—იმ ნერვმატ, პეტრემ რომ დარგო,
ზღე აყავდა, ისე იხარა,
ისე გამტკიცდა, მშრომელთა სარგოთ,
რომ მის წინ მტერმატ ქელი იხარა!

მანი, რომელიც გამომწყვედელთა ნახვერად მშობრივ ერთ პატარა და ნესტიან ოთახში.

გიგო ამ საღამოს განიცდიდა ზნეობრივ ტანჯვას: მან ვერ შესძლო ცოლ-შვილის მოვლა-პატრონობა; გიგო ბევრჯერ ყოფილა დატუსაღებული, სათო-კი კვირაობით და თვეობით ნახვერად მშვიერ-მწყურვალე ციხის კარებთან ატუხული.

გიგოს იტაცებდა ბრძოლა ძველი ქვეყნის დასანგრევად, და ეს ბრძოლა მოითხოვდა პირად მსხვერპლს, პირად ბედნიერების უარყოფას.

გიგო ხშირად უმეშვერად იყო, რადგან ქარხნის მეპატრონენი ექვსი თვლით უყურებდნენ: მასში ხედავდნენ დაუქინებელ მტერს, მტკიცე რევოლუციონერს. მექარხნის არ გამოეპარა გიგოს რევოლუციონერი მუშაობა, გიგო დაბეზულეს და აი ხვალ გიგო უნდა გამოცხადდეს ყანდარმთა სამმართველოში. გიგომ იცის, რომ სამმართველოდან სახლში ვეღარ დაბრუნდება. მას მოელის ხელახალი დაპატიმრება, ხელახალი წამება.

თვალწინ წარმოუდგა ყანდარმთა პოლკოვნიკი, დიდ, მუწანე მათე-გადავარებულ მაგიდასთან მჯდომი, წითლად ჩასქებულთ, დაწერილი ლოყებით და დასისხლიანებული თვალებით. მას ცხვირი აპრეხილი აქვს და თითქოს ეკითხება გიგოს:

— თქვენ ისეთი თუ არა ამა და ამ კრებაზე, სადაც ირჩეოდა ისეთი ბან მექარხნე ბო-ის ტერორის დანიშნის შესახებ?

გიგოს მზათა აქვს პასუხი, რომ ის უარყოფს ტერორს, რომ მას სურს და სწამს სხვა გვარი ბრძოლა, მაგრამ ეს ,სხვა გვარი“ ბრძოლა ხომ დანაშაულია; გიგოს ვინ მისცემს ამის უფლებას, ბრძოლა—ბრძოლაა როგორც უნდა იყოს, ვინ აპატიებს გიგოს, უბრალო მუშას, ხმა აღნიშნულს მწავრელების წინააღმდეგ?

არა, გიგო ხელდან ვეღარ დაუტყრება ამ გაქნილ არამხადს, გიგო იცნობს ყანდარმულ ხრიკებს.

ამ ფიქრებში იყო წასული, როდესაც სათოს საშიშნული კენჭა მოესმა და თან ახლად დაბადებულთა ტირილი.



— ვინ იქნება ამ პატარა ბავშვების პატრონი, სათო ხომ ლოვინიდან ველარ ადგება, და კოტეც რომ ადგეს... გიგოს მწარე ამოხვრა აღმოსკდა გულიდან, მის საშინელი ფიქრები დაუტრიალდნ თავში.

— უნდა მოვასწრო, ამაღამ უნდა მოვასწრო.

ფიქრობდა გიგო, და თან ძველ ფალსებს ეძებდა საკუქნაოში. ლამპის ოდნავ მბუქტავ სინათლეზე გიგომ ორთავე პაწაწინა ფრთხილად გაახვია ბამბებში და ძველ ფალსებში; გულის ამღვრევი ყრუ სევდით, ჩუმაღ ვალო ოთახის კარები და გეჟქანა სიბნელეში.

ელვისებერ ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა გიგო ქუჩიდან ქუჩაზე და თან ფიქრობდა:

— „მოვიტაცე! თვით ჩემს თავს მოვსტაცე ბედნიერება, რისთვის? ვინ მომიცემს პასუხს?“

ამ მწარე ფიქრებით გიგომ მიაღწია ზუბალაშვილის სახელობის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს, მის შესავალში დაუშვა პაწაწინა ბავშვები, თითონ-კა გიჟივით თვალბე-ამღვრეული გაჰქრა ლამის წყვილიდმო.

ოლიმპიადა.

მუშკოძის დრამატული წრე

1921 წ. მეორე ნახევარში, ტფილისის აწინდელ მუშკოძის თანამშრომელთაგან შესდგა დრამატული წრე (ივ. მარკოზოვი, ხელმძღვ. წვე. კარიბოვი, გეგელაშვილი, ყიფიანი და სხ.) წარმოდგენების გასამართავად. გამგეობის წევრნი: აშხ. ხიდირბეგოვი, ატოვი, ატოვი, მოვშენზონი სიამოვნებით შეხვდნენ დაწყებულ საქმეს. პირველი წარმოდგენა — „რაც გინახავს ველარ ნახავ“ დაიდგა საბუხალო-ტირია ოთახში მდ. ვოლგის მხარის დამშეულთა სასარგებლოთ. თუმცა წრეს ტენიკური საშუალებანი აკლდა, ამავე შენობაში რამდენიმე წარმოდგენა დასდგა.



მთლიან მუშათა კომპერატივის ცენტრალურ სამმართველოსთან არსებულ ქართული დრამატული დასი:

მარკოვი ვანო იავ., ხელმძღვანელი (*), ბაქრაძე მ. ი., თოთიბაძე პ., კავსაძე კ., პერაღლიტი-ლოვი ი. (ელტ. კომ. თავმჯ.), უზნაძე კ., მზა-ფე-იშვილი ი., მისიურაძე, დლოძი, კარიბოვი პ., ქართველიშვილი მ., ყიზიაშვილი ა. და თოთიბაძისა.

მუშათა კომპერატივის დარსების შემდეგ დრამ. წრეს მუშკოძის ახალმა გამგეობამ (აშხ. ერისთავი, მელიჩარსკი, ბოლქვაძე, ძავანია, მელიქოვი) კულტურულ საქმის გასაგრძელებლათ დაუთმო შენობის შუა სართულში ორი დიდი ოთახი, სადაც საკუთარი ძალებით სცენა მოაწყეს. კვირაში ორი წარმოდგენა იმართებოდა ქართულ, რუსულ და სიმურ ენებზე. არ იყო დღიწიკებული საშეფო სოფელიც. როდესაც დრამწრემ მუდმივი ხასიათი მიიღო, საბჭოთა მუშაკების კავშირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და თეატრს „ოქტომბრის რევოლუციის“ სახელი უწოდა. დრამწრიდან გამოაოფილ იქნა რუსული წრე, რომლის ხელმძღვანელად მიწვეულ იქნა მსახიობი ლევსკი, შემდეგ რატოვი.

დრამწრე წარმოდგენებს სდგამდა — ბოლშევიკულში და ცენტრალურ საბჭოთა მუშა-მოსამსახურეთა კლუბში.

დრამწრეს ცენტრალური პარტიული კლუბის მიერ დათმობილი აქვს კვირაში ერთ დღე (პარასკევი) წარმოდგენების გასამართავად.

დრამწრეს ხელმძღვანელობს აშხ. ივ. მარკოზოვი შემდეგი შემადგენლობით: ბაქრაძე, კარიბოვი, ქართველიშვილი, მზარეულიშვილი, კავსაძე, თოთიბაძე, უზნაძე, გვარამაძე, დლოძი, თოთიბაძისა, ყიზიაშვილი.

1921 წლიდან მუშკოძთან თეატრის დაარსების ინიციატორი და ხელმძღვანელი დღევანდლამდე ვანო მარკოზოვია.

ჩვენის კინო 36

საქართველო
კინო-ფოტო



ივლიტა ჯორჯაძე

„ქარიშხლის წინ“ -- წერილი იხ. შემდეგ ნომერში.

გილიოტინა

ლამე ცხრა აბის. 1856 წ.

აღმოსავლეთი ბაბილონმა გაანადგურა.
სძლია უდრეკი ბორკილებად, მძიმე ლოდინად.
ლიბანის მთები გადაიქცა სისხლის სადგურად
და დამონებულს გადუქწვეიტეს: გილიოტინა!

შავი ეკრანი. მოჩვენება. წამების ბინა.
შველა არსაით, დიასპორა თავის უარით.
დღეს საუთუნემ მეცხრამეტედ გადაიბრინა
და კვლავ გაისმის საზარელი ხმა რიტუალის.

ოჰ, ეს პასეჟი... მუდამ ისმის შიშის ნიშნები,
მიათრევეს ზღაპრებით დახაკილებს ურემი ათასს,

ეს ბეილისი, ეს კიევი და კიშინევი
მუდამ მაგონებს ყოველწლობით ერემიადს.
და ეხლა, როცა ხელში ვფურცლავ წიგნებს გლოვისას
სადაც ვკითხულობ როგორ გავხდით საფქვევ როდინად,
მომავონდება დიდი სახე სისხლის მწოვისა
და სამართალი საშინელი: გილიოტინა!
კრულვა მარადი და კედლებში ძებნა გამჩენის.
ამაყ ისრაელს აღარ ძალუძს სევდა დაპკეტოს.
დიდი ხანია წაუკითხეს მას განაჩენი
და სამუდამოდ მიაკრეს ის ხავსიან გეტტოს!

სანთლები ჩაპქრა. სმენალ იქცენ თანამომენი, წლების სათვალავს მოუთმენლად მაშინ ელიან. აგარაკი და ნელი წვიმა გახდენ მოწმენი, იოქავ ეს რიცხვი. აკანკალდენ: საწინელია!

ნილოსი, რნდარი, ვისლა, რენი და მანსანარე ალბად ამ წუთში გადაიქცენ მძიმე როლიდან, დღეს მომავალი დაიკვილებს ეხოს საზარელს: გილიოტინას შეავებეთ გილიოტინა!

გერტელ ბაზოვი.

წალვერი. ღამე ცხრა აბის 1921.

ხელოვნება უსკოეთში

შევიცის თეატრი. ცნობილი უნგრელი მწერალი იგ. ფულიდი ამას წინად ჩამოვიდა რუსეთში სტოკპოლშიდან. მისი მიზანია რუსული თეატრის შესწავლა. შევიცის თეატრის შესახებ იგ. ფულიდი აზობს შემდეგს: დრამატიული თეატრი განიკლავს კრიზისს. თეატრალური სახიერება საშინელი კონსერვატიზმით არის შეპყრობილი. რეპერტუარში სკარაბობს მსუბუქი ფრანგული პიესები. სტოკპოლის თეატრი ჩამოქვეითებულია საზოგადოებრივი გემოვნების დონემდე. იგი არ ცდილობს თავისი აუდიტორიის აღზრდას, ახალი ესთეტიური სახეების ჩვენებას და სავსებით კმაყოფილია თავისი მდგომარეობით. ახალი თეატრის შექმნის ყოველგვარი ცდა მოკლებულია ნიადაგს. ახალგაზრდა ლიტერატორები და მხატვრები საშინელ ბრძოლას უცხადებენ თეატრებში გამეფებულ კონსერვატიულ აკადემიზმს.

გაცილებით მაღლა სდგას სტოკპოლის საოპერო თეატრი, რომელსაც ხელმძღვანელობს ენერგიული ერნესტორდი. მხატვრება გრუნევალიძე შექმნა ახალი ექსპრესიონისტული დეკორაციები. ოპერაში მონაწილეობენ ცნობილი მომღერლები, მაგ. რახტერი.

რუსული ხელოვნება იტალიაში. დიდი ენტუზიაზმით იმდებება ოპერა: „ოქროსი მამალი“. დრამატიული თეატრების წრეებში ყველაზედ პოპულარულია ცნობილი რუსი მსახიობი ტატიანა პავლოვა. ამ ჟამად პავლოვა იტალიურ ტრუპასთან ერთად მოგზავნილია სამხრეთ აფრიკაში. ცნობილმა იტალიელმა ტურლიკოსმა ემრეტი ცაკონიმ თავის საბუნებისოდ დასდგა ტურგენიევის „Нахлебник“. რომის კონსერვატორიის დირექტორად ნ. ა. ლიპსიცი კომპოზიტორი რესპაი (Respighi) — მოწიფე დ. ა. რომსა-კორსოვისი. ეს ვარემოება რუსულ მუსიკას ფართე პერსპექტივებს უშლის. საკონცერტო პროგრამებში ხშირად ხედებიან სახელები: მუსოვორსკისი, ჩაიკოვსკისი, გლინკისი. თქმა აღარ უნდა, რუსულმა ბალეტმა არა თუ რომსა და იტალიას —თელ მსოფლიოს შეავყარა თავი.

ხელოვნების მდგომარეობა ინგლისში. ინგლისის ხელოვნებას თანდათან უცხოელი დავებატრონენ. თუ რომდენად თვალსაჩინო შეიქმნა ეს მოვლენა, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ამონაწერი „Fossische Zeitung“-იდან: „ლონდონიდან გერმანულ გაზეთებს აცნობებენ, რომ წლიწინდელ საზამთრო სეზონში ლონდონი უმთავრესად უცხოეთის ხელოვნებით ივსებება. სამეფო ფილარმონიულ საზოგადოებაში კონცერტების შვიდ

თქვენ ვერ ჩასწვდებით ჩემს გულის სიღრმეს — მღელვარებაა თვით შავი ზღვისა; და ვერც მოხიბლავთ უმანკობას, — დისკოა გული ვით დილის მზისა, და თუ გსურთ მტანჯოთ, აღზინით გული, მოდით ჯალთინი, დამკარით ხმალი, თორემ თქვენ კერპის სათაყვანებლად არ შემწევს ძალი... არ შემწევს ძალი..

ღვთი გურჯაწელი-დათუკიშვილი.

ღირიეორთავან მხოლოდ ერთია ინგლისელი, დანარჩენი ექვსი ცნობილი გერმანული მუსიკოსია: ვინგარტნერი, ფურტენგლერი და სხ... ათზე მეტი გამოჩენილი გერმანელი მუსიკოსი და აგრეთვე რახმანინოვიც მუდამ მართავენ ლონდონში კონცერტებს და დიდი მოწონებაც აქვთ. ინგლისელ მუსიკოსთა მიერ გამართული კონცერტები კი მეორე და მესამე ხარისხიდან ითვლებიან. მსუბუქი ხელოვნებაც აგრეთვე უმთავრესად „შემოტანულია“. ასე: ამ ზამთარში ლონდონში გამოდიან: სამი რუსული საბალეტო საზოგადოება, ფრანგული კაბარეტები, უცხოელთა კინო და სხ... ეს მთელი შემწინეული იქნა ჯერ კიდევ 1923 წ. წლელს კი სულ უფრო და უფრო საყვივლათაო ხდება.

იუზილეუბი

ბოლო ხანებში იუზილეუბმა მოარულის ხასიათი მიიღო. არც გასაკვირველია: უჩანასნელ მეოთხედ და მესამედ საუკუნის განმავლობაში ბევრი მუშაკი გამოჩნდა სახალხო, სახელოვნო, სამწერლო, სამანსწავლებლო და საზოგადო ასპარეზზე და თვითეულ მის გულწრფელ მოღვაწეთავანს სიტყვიერი მადლობა მაინც ეკუთვნის.

მაგრამ ამ „იუზილიარათა“ შორის ისეთებიც ერევიან, რომელთა რაობა და ვინაობა თითქმის არიან იცის. „იუზილეუბსაც“ იმართვენ მაშინ, როდესაც მთელის ერისა და ხალხისაგან მივიწყებულნი არიან, —მაგ. ჩვენის მწერლობის ბუმბერაზი ნიკო ნიკოლაძე, სოფ. მგალობლიშვილი, ალ. მირიანაშვილი, ხომლედი, სილოვანი და სხ. ამიტომაც იუზილეუბს განეჩინა „ოდეს ტრუფა გაიადიდეს“...

ერთი მუშა-მწერლის —ნიკო მეკრევალის —არ იყოს, ამის რაიმე საზღვარი უნდა დაეღვეს.

ხოლო არიან ისეთი ნაამაგდარი მუშაკნი, რომელთაც საერთო ჯამში ვერ მოვაქცევთ.

ერთი ასეთთავანია მუშა-სცენისმოყვარე გ. ჯაბაური, ხალხურ თეატრის ერთი დამაარსებელთავანი, რომელმაც სხვა მუშებთან ერთად 1893 წ. ავჭალის აუდიტორიაში პირველი ლურსმანი დაჭრა პირველ ხალხურ თეატრის სცენას და მას შემდეგ კარგა ხანს პირველ ხარისხიან როლებს ასრულებდა, სწერდა სახ. თეატრის ისტორიას, საფეხებში კულტურულ შემოთბას აწარმოებდა ჭ.ს. დილაძე რომ ასეთ მუშაკს ეკუთვნის გულწრფელი მადლობა. ეს შრომილმა ხალხმა უნდა გადაიხადოს.

საღმუნებლო მუშაობა

37

უქანასკნელ 3-4 წ. განმე-
ლობაში ჩენი დედაქალა-
ქის აღმშენებლობა წინ მი-
იწეეს.

ფუძნდება მუშათა კლუბე-
ბი, კლუბებში სცენები, მოე-
მატა სატრამვაიო ხაზი, ფარ-
თოვდება ძველი და გადის
ახალი ქუჩები, შეკეთდა აბა-
ნოები, შენდება ახალი დარა-
ბები, ბალები და სხვ. საერ-
თოდ ქალაქი მშენიერდება.

ვინ სლგას ქალაქის სათა-
ვეში?

მუშა, თვითგანვითარებუ-
ლი ლაღო სუბიშვილი, სარა-
ჯიშვილის ყოფ. ქარხნის კა-



ბფილისის აღმასკომის ყველა განყოფილების გამგენი (აკლია ორი), მეორე რიგზე მუშაში თავმჯდომარე ლაღო სუბიშვილი (კუკუთი)



ლაღო სუბიშვილი ნათესავებში ს. მეჯვრისხევში (ქვეით
წამოწოლილი, მარჯვნივ).

ჩეგარი, რომელმაც უქანასკნელი ორიოდ წლის განმე-
ლობაში დიდი სამართევლო უნარი გამოიჩინა. მისი თანა-
მოსამსახურენი არიან უმეტესად მშრომელთა შვილები
ყოფ. მუშები და სხ.

რა თქმა უნდა, ჩვენს დედაქალაქს ჯერ კიდევ ბე-
ვრი აკლია, განსაკუთრებით განაპირა უბნები საჭიროებს
ყურადღებას, ხოლო ზოგიერთი სამუნიციპალიზაციო
სახლი შეკეთებას, მაგრამ რაც გაკეთდა და კეთ-
დება, იმდს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მშრომელი ხალ-
ხის შვილები, თვით მუშები კიდევ უფრო დიდს უნარს
გამოიჩენენ თავის საკეთილდღეოდ საღმშენებლო საქმის
კიდევ უფრო წინ წასაწვად.


ესუსურვებთ ჩვენს საღმშენებლო დარგის მუშაკთ
კიდევ უფრო მეტს მხნეობასა და გამარჯვებას.

სომეხი ჰუმორისტები

იაკობ პარონიანი და რაჟინი პატანიანი

ჰუმორი საკმაოდ იშვიათი მოვლენაა სომხის, განსა-
კუთრებით ოსმალეთის სომხის, ხალხში და სომხურს ლი-
ტერატურაში. მე შეეხედი მხოლოდ ორ მწერალს, რო-
მელთ შეიძლება ჰუმორისტი უწოდოთ. ესენი იყვნენ
იაკობ პარონიანი და რაჟიელ პატანიანი. პირველი დაა-
ბადა კონსტანტინეპოლს და გარდაიცვალა იქვე 1891 წ.
პატანიანი-კი იყო შვილი სომხური კოლონიის, ნახი-
ჩევანისა, სადაც დაიბადა 1830 და გარდაიცვა-
ლა 1893 წ.

შეიძლება ითქვას, რომ ეს მწერლები იყვნენ შვილ-
ნი სრულიად სხვადასხვა კულტურისა, რადგან კონსტან-
ტინეპოლის სომეხნი მაშინ უკვე იმყოფებოდნენ ფრანგუ-
ლისა და იტალიური კულტურის გავლენის ქვეშ, როცა კავ-
კასიისა და განსაკუთრებით ნახიჩევანის სომეხთ წარსულ
საუკუნეში ჯერ კიდევ არ დაეკარგნათ პირველყოფილი
სახე.



იაკობ პარონიანი

პარონიანი იცნობდა არა
ნამდვილ სომხურ ცხოვრე
ბას, არამედ კონსტანტინე-
პოლის სომეხთა კოლონიის,
რომელიც იმ ხანებში მეტად
დაპშორდა თავის შთამომა-
ვალთ, სომეხთში მცხოვრებთ.
გარდა მრავალ ღარიბ მე-
ყურტნე მუშათა და შეკირვე-
ბულად მცხოვრებ ხელოსანთა,
კონსტანტინეპოლის სომეხე-
ში მრავლად მოიპოვებოდნენ
მდიდრები, ბანკირები, ვაჭრე-
ბი და სპეკულანტები, რომ-

ლებიც თავიანთი სიმდიდრისა და გავლენის წყალობით
განავებდნენ საზოგადო საქმეებს სომეხთა კოლონიისა

ცხადია, ეს საზოგადო მოღვაწენი, არა ყველანი ასრულდნენ მოვალეობას სინდისისკრება და საზოგადოების საარგებლოდ. ბევრი მათგანი იყო ანგარი და პატივმოყვარე ანუ უშიშა. პარონიანი, როგორც ტუშმარიტი რეალისტი, თავის გირგებს ნამდვილ ცხოვრებაში ეძიებდა და მხატვარი ხალხისათვის ამ კრუტ ქვეყნის მომქმედოდაცინევა მისი არ ინდობდა თვით უგაველენანეს პართა და თუმც თავისი სატრიო მრავალ მტერს იჩენდა, მაინც მხნედ და გაბედულად განავრძობდა წიგნების წერას. პირველი სათაურია: „ხალხის გმირები“ შეიცავს პორტრეტებსა და ბიოგრაფიებს 26 სხედასხვა მოღვაწისას, რომელნიც თავის დროს თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ კონსტანტინეპოლის სომხურს ცხოვრებაში. მეორე კრებული ესიზების სათაურით „მიღამოებში კონსტანტინეპოლისა“ აღწერს სომეხთა მოსახლეობას სხედასხვა ნაწილებში ოსმალითა დედაქალაქისა და აგრადევ სკოლებსა და სხვა საზოგადო დაწესებულებათ. ბოლოს პარონიანმა თავისი ცილეა მიჰპართა ურნალისტიგებსა, მგვაზეთეთა და მწერალთ საერთოდ. მათ შორის, რა თქმა უნდა, იყვნენ მწერალნი, რომელნიც არა რწმენითა და სუგათა სინდისითა სწერდნენ, არამედ ამაჲოდ ფულის გულისათვის; ეს მიმუიღველი მწერლები ახალბა კრებულში: „მაღალ-პატიციკემულნი მიზოცენლი“.

როგორცა სჩანს, მიელი საშვროლ მოღვაწეობა პარონიანისა გამოიხატებოდა ბრძოლაში წინააღმდეგ ბოროტისა და განსაკუთრებით ახალხის ექსპლუატატორთა და უსაქმურთა.

სიხარულს ცოტასა ჰპოვებდა თავის ლიტერატურულ საქმიანობაში და უფრო ნაკლებ თავის ცერძო ცხოვრებაში, რომელიც იყო მძიმე და საყვი ვარძითა. როგორც უმეტესობა მაშინდელ სომეხ მწერალთა, პარონიანიც თითქმის მუდამ განიცდიდა გაკირვეებას. მეტად მცირე იყო შემოსავალი ლიტერატურული მუშაობისათვის და იგი იძულებული შეიქნა რაიმე სხვა საქმიანობისა მიეყო ხელი, რამოდენიმე წელიწადს იგი იყო მასწავლებელი, შემდგომ ნოკრად ერთ-ერთ მაღაზიაში და ბოლოს მონაგარიშველ, მძიმე ცხოვრებად მაღლ მოჰშალა მისი სუსტი ჯანი, დაბქლექა და უღროოდ გამოასალმა წუთისა ელსა.

მაგრამ აჲ, სიციცილობა ამ უბედური მოღვაწისა 1891 წელს, შერიტია გული თვით მის მოწინააღმდეგეთაც კი და კონსტანტინეპოლის სომეხებმა მოაწყვეს დიდებული, იშვიათ დასაველაობას, რომელთაც მონაწილეობას იღებდნენ აგრედვე ისინიც, რომელთაც თავისა და მისი დამცინავი კალამი ბასრი მახელი იყო. რა თქმა უნდა, ეს ხალხის მაგნიტი უბედური მწერლის დასავლავებამუ მონაწილეობას იღებდნენ არა კეთილშობილური თანავარძლობით, არამედ უფრო რე სიხარულით, რომ სიციცილი წაირტიცა მტერი მათი.

პარონიანის ნაწარმოებთ თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სომხის ხალხისათვის და ცხლაც გეიტაცებენ თავიანთი აღწერიით ყოუა-ცხოვრებისა და მაშინდელი ტრუებისა, მით უმეტეს, რომ ეს ქვეყანა სრულიად გაჰქრა. როგორც ვიცი, ოსმალოს ყველა სომეხებმა დაავედეს ოსმალური და კონსტანტინეპოლში სომხური ცხოვრება ჩაჰკადა.

მეორე ჰუმორისტული რაფიელ პატკანიანი, დიბადა, როგორც ვსთქვი, სომხურ კოლონია ნახიჩევანში, რომელიც შაღდგენს ნაწილს დონის როსტოვის მიღამოისას.

ეს კოლონია უმთავრესად განვითარდა პირველი ნახევრის ბოლოს და მეორე რახევარში 19 საუკუნისა. უმალესი სწავლა პატკანიანმა მიიღო ნაქილობრივ დერჰატის უნივერსიტეტში, რომელშიაც მაშინ მეცადინეობა გერმანულ ენაზე სწარმოებდა, მაგრამ მოკლე ნაცოლობამ განმანელებთან მოახდინა გულენა მხოლოდ ზოგიერთ მის ლექსებზე, მაშინ, როდესაც მოთხოვნებში კვალიც არ არის გერმანული ვაგლენისა. ამ მოკლე ცხოვრების სურათებში თავის სამშობლო ქალაქისა, იგი გრძობითა და გონებით სომეხი იყო და მგრინ არავის არ ჰპასავდა.

როგორც ჰუმორისტი საცხებითა სცხოვრობს თავის სახლში, რომელსაც მიუხედავად თავისი რუსულ-გერმანული განათლებისა, არ ვანსდგამოი.



რაჲ პატკანიანი

ლაზარევის ინსტიტუტში, შემდეგ დერჰატში და ბოლოს ერთ-ერთ რუსულ უნივერსიტეტში. სამშობლო ნახიჩევანს დაბრუნებისას ხელი მიჰყო მასწავლებლობას სომხურს სკოლაში და აქ დარჩა საკვილობამდე 1893 წ.

მაშასადამე, თითქმის მთელი თავისი ცხოვრება გაატარა პაწია სომხურ კოლონია ნახიჩევანში, აქ შეისწავლიდა თავის თანამემამულეთა ცხოვრებას, რომელშიც მაშინ იწყო დიდი მოწინააღმდეგე ბანასკა განყეთდა. მოხუცი კიდევ უბრასო, რომელიც სომეხები იყვნენ, მათ ბრობდნენ და ჰუიქობდნენ სომხურად, ჰცხოვრობდნენ ვიწრო წრეში და არცა სურდათ ვაგება უხუც ცხოვრებისა. პატკანიანს, როგორც მასწავლებელს ადგილობრივი სომხური სკოლისა, საშუალება ჰქონდა გასწრობოდა ყველა მცხოვრებთ ამ პაწია კუთხისა, თვალი ეყრულებინა მათი ცხოვრებისათვის, ზენჩეულებებისათვის და დანება ყველა ავი და კარცა. რა თქმა უნდა მან ზალი შეზენნა, რომ რუსული ცხოვრებისა ვაგულენით ძველი სომხური ზენ ჩეულება თანდათან ჰქრებოდა და მოზარდ თობა მშობლებს აღარა ჰგვანდა. მაშინ მან ლექსებში და მოთხრობანში ვაილაჰქრა ამ ახალგაზრდობის წინააღმდეგ, რომელშიც შეიძელა მშობლობური ენა, ზენჩეულება და ლაპარაკობდა მხოლოდ რუსულს. პატკანიანი დასკინდა ფრანტებს, მოძულეთ მშობლობური უბრალობისა, პრანქია ქალიშვილებს, რომლებიც მშობელთა წირადგენ ვაჭრობდნენ თეატრსა, კონცერტებზე და თავიანთ მძებთან ერთად ვასართობებს ეძებდნენ კლუბებში.

როგორც სუნდელიანცი, შირვანხადე, რაფვი და სხვანი, პატკანიანი გამალებითა სციმდა ლახვარს თავისი სატირისა მაყდურთ, ტუნწი მეყწერიღამანეთა და ხალხის

საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
აღმართობის
საქართველო

მეცლევდით. არა უარეს სუნდუციანცისა აზხატა მან სახეები ასეთ მანეთა და საკაო ნიჭითა და მოხერხებითა ჰსინდა ყოველი კანანსა და სიყაბუბეს, ცხოვრებასა და უსინდიანობას. მოთხრობანი „ჩემი მეზობელი“, „გაუდაბურებული ადგილი“ და სხვანი შეიცავენ არა მხოლოდ კარგ, ტიპურ სურათებს სიმშურ ცხოვრებიდან, არამედ წარმოადგენენ აგრედვე თავისებურ ტიპებსა. ამ მოთხრობანში გვხვდებიან აგრედვე სიმბატორი ტიპებიცა, როგორც მაგალითად მოხუცი რიფსიმე „გაუდაბურებულ ადგილ“-ში, რომელიც უბრალო, მაგრამ მბატკრული სიტყვებით აღწერს ბედს დაღვრული ოჯახისას. სწორედ ამ მხატვრობასა და ალლოიანობაში ხშირად გამოისქვივის ჰუმორი პატკანიანისა. სინაზე და უხეშობა ერთგვარად აესებენ სიკაცებით მოთხრობანს ამ მწერლისა და ერთადერთ არიან მიმზიდველნი და საინტერესონი მკითხველისათვის. ხანდისხან ენა თითქოს უხეშო ხდება როგორც მაგალითად მოთხრობა „ჯაყა“-ში, მაგრამ ეს უხეშობა საუკეთესოდ გამოჰხატავს რაობას მოთხრობისას. ძველი ტიპის მასწავლებელი, რომელმაც იციის წერა-კითხვა და სხვა არაფერი, მეტად აფასებს თავის მცირე ცოდნასა. მუდამ იმის ცდაშია მოწაფეთ დაუმტკიცოს, რომ ეს დიდი ხელობა და ადვილი არ არის გახდომა კარგ მწერლად ანუ მკითხველად. მისი მოწაფენი უმეტე-

სად ვერ იჩენენ წარმატებას და ამით ეკაყოფილა, იგარაკი ამტკიცებს, რომ წერა-კითხვა კუწმაროტად დიდი ხელობაა, რომელიც მხოლოდ მას ემარჯვება... მაგრამ აი მოჰყავთ მასთან მოწაფე, რომელიც რამოდენიმე დღეში შეისწავლის წერა-კითხვას და ეს ნიჭიერება მოწაფისა აცოცებს მასწავლებელს. სწუთს, ჰპარაზობს ყმაწვილზე, ეძახის უზრდილსა და ჯობისა სტუქსავს კანდიერებისათვის. ასეთი სასოში მეტოქე ჯერ არასდროს გამოჩენილა და შეძრწუნებული ჰლანძღავს და სკემს ყმაწველს, რათა გამოსდევნოს მისგან ყოველგვარი ნიჭი. მოწაფისა საუბედულოდ, მასწავლებელმა ენოში დაჰკარგა ჯაყა და მიწნევე დასწამა ყმაწვილს ქურობა. გაყოფებული ჰელაგოგი სკემს საკოდავ ბიკს ჯობისა და გაავდებს, მაგრამ რამოდენადე დღის შემდგომ იპოვის ჯაყავს ენოში.

კარგია აგრედვე პორტრეტი ქალაქლის მოთამაშისა, რომელსაც პატკანიანი სრულსი სისწორითა ჰხატავს და საესებით აღწერს დაუდგრომლობის ამ ზადისას. საერთოდ პატკანიანი იყო ნიჭიერი მწერალი, მაგრამ მისი ნიჭი უმთავრესად ჰუმორისტულ მოთხრობაში გამოსქვივის, რომელსაც სულ თავისებურ განმს წარმოადგენენ სიმშური ლიტერატურისთვის.

არტურ ლეიხტი.

თ ა გ ა შ ი ს კ უ ლ ტ უ რ ა

(წერილი გერმანეთიდან საქუთარ კორესპონდენტისაგან)

ტურფას და მზიანს

I

რუსის ხალხი დიდად ეტანებოდა რელიგიას, მაგრამ უფრო გარეგნულად, ვიდრე არსებითად; ხატებით და დროშებით სახეიმო სესლა და დაუსრულებელი პარაკლისები ფარავდენ ქრისტეს ნამდვილ მაღალ მცნებას. ასევე დაფარული იყო ქრისტეს სიყვარული ბავშვებისადმი. აღარ მახსოვს, სამწუხაროდ, სიტყვები სახარებელად: „მოვიდნენ ჩემთან ყრმანი... ამ ყრმებზე ზრუნვა დაიწყოებული იყო რუსეთში.

მთელი რუსეთის ლიტერატურა-კი გაეღენთილია მოზარდ თაობისადმი უნჯგარო სიყვარულით, მათი სულის გამოცნობის წყურვილით, მათი საიდუმლო, სპეტაკი ორგანიზაციის გაგების წყურვილით. ტოსტოვი, დოსტოვესკი, ჩხოვი და სხვანი ზრუნეით დასტორილებენ ამ პაწაითა წრეს; ნაზად, ფეხ-აკოფით მიდიოდენ მათთან, რომ ეს მიმოხსენებური ნაზი ყვაველი არ დაეფრახით და ისე ახლოდან უტკერდენ მისს მშვენებას—დაფარულ სიმდიდრეს.

მაგონდება გორკის სიტყვები („На дне“): „ბაღლებს, ბაღლებს არე, თავისუფლება სჭირათ—ნუ უშლით ბავშვებს ცხოვრებას!.. მეტი ვის ესმოდა ეს კუწმაროტება? სად იყო ბავში—არა ლიტერატურული—არამედ სინამდვილის ბავში, რომელიც სიყვარულით და თავისუფლებით იზრდებოდა? ვინ ზრუნავდა მის სულიერ საკითხებზე, მის საათუ ბუნებაზე? მისი ყოველი ცნობისმოყვარეობა საშინელის სისასტიკით, ხშირად ფიზიკურის სიტლანქით უნდა ჩაეკლათ. ის, ვისაც ცხოვრების პრაქტიკული მხარე არ ესმოდა, ვინც ყველაფერს მარტო სარგებლობის თვალსაზრისით არ უღებებოდა, უფიცი და არამ-

ზად იყო. და ბავში, რომელსაც ბუნება ყოველ დღეურობით ჯერ არ შვლახავია, ვერ სწვდებოდა ამ „პრაქტიკას“... იყო „სულელი“ და სულელს მარტო ცემით და დაწეროებით „ასწავლიდნენ“, უნერგავდენ სინამდვილის აზრს; სიზმრება უმსებრედა სასტიკი სიხადე სახლში, სკოლაში, მოგზაურობის თუ სეირნობის დროს, მას მარტო ამ ცივის სიფიზილით უმასპანძლდებოდენ და ნელ-ნელა, დღით-დღე არღვევდენ ამ ბუნებრივ სიმძიდრეს. ეს ზნე საესებით გადმონარეკა ჩვენში რუსულ სკოლებთან და რუსულ სინამდვილესთან ერთად.

დღეს ძველი ვითარება ირღვევა, რუსეთის ძველი სუსხი და მისი „მუნჯური“ მეთოდის სკოლები გეჭრა და თანდათან იბადება დადი ხალისი ბავშვების წმინდა ორგანულ ნიადაგზე ჯანსაღად აღზრდისათვის უფიცილს პრობლემდა და მის სწორ შეგნებაშია ქარაიველი დედის უწმინდესი მიველეობა. მძემა აქ ქართველი დედის როლი და ტყველად არ უქეჰმას ილიან „მიეც ძალა სულს“-ო. დიდი ძალა, კულტურული შეგნება სჭირია მას ამისთვის.

II

სამაგალითოდ უყვარს ქართველ ქალს თავისი ოჯახი, თავისი შვილები, მაგრამ მალე როგორღაც ვერ მოახერხა, რომ აღზრდის საფუძვლად ეს სიყვარული დაეღო. რაკიყველი, ბევრი რამ უშლიდა მას ხელს, მაგრამ ეს დაბრკოლებანი თანდათან ილახებთან დღეს და დროა სიყვარულს, ამ ყოველ შემოქმედებას სტიმულს, თავისი ძალა დაუბრუნოთ. არაფერი ისე ცივი არ არის ბავში-სათვის, როგორც რიტორიკა, ცხოვრებისათვის დახურდა-ვებული ფილოსოფია... დაუსრულებელი დარჩებდა და „თეორეტიული წერანა“. ეს კვლავს მის „მე“-ობას, მის

ს ა თ ე ა ტ რ ო მ ი ე მ ო ს ი ლ ე ვ ა



კორპორაცია „დურუჯი“ იანვრის 29-ს, სახელმწიფო აკადემიური დრამის დარბაზში გამოვიდა საზეიმო დღეობით.

შარშან, ამავე დღეს, რუსთაველის თეატრში, პირველად გაისმა კორპორანტების სიტყვა.

იმეხ ვარეშვა, „დურუჯის“ გამოსვლას ჰქონდა თავისი ომბეტკორის მიზნები ჩაენი თეატრის სუნთქვაში ერთგვარი სიციცხლე შექმნა.

აქ იყო პირველი შებრძოლება განახლებისათვის. აქ იყო პირველი ცეცხლის წაქედება.

სულ სხვა სახითია: ვის როგორ ესმის თეატრი. ეს პრობლემა ჩვენი აზროვნების დღეღამეში უნდა გამოიკვეთოს.

კორპორაცია „დურუჯის“ მნიშვნელობა სწორედ აქაა. მან შექმნა ქართული თეატრალური კრიტიკის მეტყველება. მან გამოიწვია გაყინული წერტილების ცოცხალი დინამია.

მიუდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. „დურუჯის“ სიტყვები ნაკვეთხლებით ჩაეშვა ჩვენი საზოგადოების გულში. მან დასწვა გაჩერებული ინერციის წინააღმდეგობა. შეიქმნა ახალი ინტერესი... გაჩნდა ახალი წყურვილი და ქართული თეატრის დიფერენციაციის გაგებნა გზები.

თეატრის პროგრესისათვის ეს ყველაზედ მართალი მდგომარეობაა.

მაგრამ არ შეიძლება გადამაღლა იმ ფაქტის, რომ კორპორანტების გამოსვლას თან ახლდა თავადებული კადნიერება და გადაჭარბებული ბუფონიადა.

ჩვენი საზოგადოება ასეთ „გამოსვლას“ გულამტკრეული შესვდა. ცხადია, აქ იყო სამართიანი მოქცევის შესამჩნევი ნაკადი. კრიტიკულ აზროვნებას მუდამ ეწინია ასეთი მდგომარეობა არ დამთავრდეს იდეური გაბითურებით. რამდენი შემთხვევაა, როდესაც შემოქმედება „გინებათ“ გადაქცეულა. ქართულ სინამდვილეში ეს არ არის „ახალი ამბავი“.

ჩვენ დღესაც გვეწინიან ამის. იანვრის 29-ს კორპორანტებმა იგივე ტონი მიიმარჯვეს, რომელმაც შარშან გამოიწვია ჩვენი საზოგადოების ცული განწყობილება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „გინებას“ ნაკლები ყურადღება უნდა ექცეოდეს. ძველი თეატრის „დადამრცხება“ ყველაზე უფრო ახალი თეატრის შექმნის შეიძლება. ამისათვის კი საჭიროა და საქმარისია საქმე და ფაქტი.

გ. 5.

ქართული დრამის ამხ. საოპერო თეატრში დასდგა „ოტელო“. მიუხედავად თანაღმსრულებელთა სისუსტისა ალ. იმედაშვილმა შეუდარებლად განასახიერა ოტელოს როლი: მასში ჰფეთქდა ნამდვილი ზანგი: გულუბრყვილო და მძაფრი, შეყვარებული და სასტიკი, ორ ენების შორის წაებებული ადამიანი. ნიჭიერიმა არტისტიმა მ. გელოვანმა ვერ დასძლია იაგო,—ეს მართლა და ჯოჯოხეთის ხატები, ოტელოზე ურთულესი როლი. თითქოს ვერცკი შეეგნა. დღეუდნამის აღმსრულებლსაც—ალ. ქიქოძეს აკლდა სინაზე, კვიტამოსლებმა. მარჯ. ქლორაგიშვილმა სრული სახიერება შექმნა იაგოს მეუღლის შესრულებით. წარმოდგენა საერთოდ ვერ იყო სრულქმნილი.

სამაგიეროდ თებერ. 4-ის წარმოდგენა (დ. კლიაშვილის „შუბლეტურება“ და ტ. რამიშვილის „ჩითუმარ-მას-პინძლომ“) ერთ საუცხოოვთაოდან უნდა ჩათვალოს მიუღ სეზონში. იშვიათია ასე გაერთიანოვანებული ავტორი, მსახიობი და მკურნებელი. პიესები—შპობლიური ჩვენი მშრომელი გლახაკობის გონებრივ-წინაობრივ მსოფლმდევლობას და საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრების ამსახველი, დადგმა—მხატვრული, შესრულება—მალად ნიჭიერად შენამატკბილებული. თითოეული მსახიობის ყოველი სიტყვა, ყოველი მიმოხერვა, გამოხედვა იყო სწორუპოვარი.

მაღალი მხატვრულია ვ. არაბიძე (ამირანა), მ. გელოვანი (პავლია), სინამდვილის სახიერება ზ. გომელაური მ. ქლორაგიშვილი და სხ. საერთოდ სალიანგო სცენა ცოცხალია, სრულქმნილი („შუბლეტურება“). ატაკეტას განსახიერებით მ. გელოვანმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა თვისი მაღალი არტისტიული ნიჭი: არაჩვეულებრივის ხელოვნებით წარმოავიღვინა ყოველი ნაბიჯი, სუნთქვა-კი ნაიკონი როლისა. ელ. ჩერქეზაშვილი—(მამიდა) სინამდვილის გამოვლენითი ტენდაცია, ასევე—ქეთო ანდრონიკაშვილი (სადღერი). ნინო ჩხეიძე—ქართველი თანამ. მეოჯახე ინტელიგენტი ქალის ასლია, თავიდან ბოლომდე დასრულებულიყოველგვარი განცდილი. გ. ფრონისპირელი კარგად შეუვინა ქართული მეოჯახე ინტელიგენტი, სტუმართაგან თავმოზებრებული, მაგრამ მაინც თავაზიანი. ალ. იმედაშვილი (ვახრაკიძე, ან. ქიქოძე (მსახური), ზ. გომელაური (ბეჯიკო), ლ. ადამიძე („სიკლივისტი“) ვ. მატარაძე, რომელი ცოცხალ სახეებს იძლევიან. ტიპოურია ა. დგებუაძე (ივანე მუსრიკიძე), საერთოდ ანსამბლი მთლიანია, პიესამ გაიმარჯვა და ვინც იგი ვერ ნახა ამ ძალთა შესრულებით—ესთეატურ ტემოას მოაკლდა. საზოგადოებამ მსახიობნი და ავტორნი (თუმცა სცენაზე არ გამოვიდა) მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. ჩვენის აზრით პიესა („სტუმ.-მასა.“) ატაკეტას გასვლით უნდა თავდებოდეს და, ვახრაკიძე ვაჟკეში მოკლე გამომშვიდობებით,—საქორა არა მისი ქრავდებოდა.

უჩინო

წითელ თეატრში ახალი ხანა იწყება. თებერ. 5 გენერალური რეპეტიციით დაიწყო (საგანგებოდ მოწვეულ პირთათვის), ხოლო 6, 7 და 8 წარმოდგენილი იქნა ზ. გელოვანის მიერ (ეგ. ნინოშვილის „სამეფობრო შედეგი“-დან) გადმოკეთებული პიესა „ჯანყი მგურიაში“; 4 მოქ.

პიესაში გამოყვანილია გურულთ აჯანყება რუსის მეფის ჯარების წინააღმდეგ, ბატონყმობის საწინააღმდეგო მოძრაობა, სოციალისტური იდეების ჩანასახი, სინაურის გამეცმლობა და სხ.

ალ. წყურწინამ ამ პიესის დადგმით სახალხო სახლის კედლები კვლავ ჩვეულებრივი სახელოვანი ცეცხლით გაათბო.

პროლოგკულტის სტუდიელნი ბუნებრივად ამეტყველებენ და თავისი უნარი გვიჩვენებს. შავთაივა უკვე ნიჭიერ არტისტის წინაშე იძლევა,—მას მიერ განსახიერებული პეტროსა სასცენო შედეგია. შეგნებით და სრულის ზომიერებით ასახიერებენ აზნაურ ივანეს ხინთიბიძე, კოზიას—გვინძიძე. აღსანიშნავია არიან აგრედვე თვისი და-

საქართველოს
საბჭოთა
საზღვრო
და
საზღვრო
და
საზღვრო
და
საზღვრო

კვირებზე და მუხდენილი აღსრულებით გაგუა (სიმონი), მხათაშილი (ლევანი), კიხანძის ასული (მანო), მე-ლიავე (ბესია), ლილია (გიორგი), კოსტავა (შალიკა-შვილი), თავებრიძე (ბეგი), გვირაგინი მელიქოვისაც (გულო). დამსახურებულ სტენისმოყვარეთაგან—ელ. ბარათა-შვილმა კენისის ცოცხალი სახე შექმნა.

პიესა დადგენილია წყურფუნივასებზე ახალი გეგმით. ზოგიერთი მოქმედება (მაგ. II) ხალხშია გააქრანილი: მომქმენი პარნი (აჯანყებული გურულები) პარტიკიდან შემოიჭრებან სცენაზე. საორკესტრო სამოქმედო ასპარეზად არის გადაკეთებული და სს სალიანოვ სცენები თვალის-მომპრვლია. აქა სჩანს რეჟისორის გამოცდილი, დაკვირვებული და მკოდუნე ხელი. მოძრაობა, სიკიცხლე, სიხალისე გზიბლავთ. ახალგაზრდა სტუდიელთა შორის ბევრი ნიჭიერი ძალია სჩანს,—მოდის ახალი დასი ახალი ძალონით.

წითელი თორი (იგივე სახალხო სახლი) ამერიიდან ახალგვს იღებს: თუ სიკვილი არ უნდა, ამ გზით უნდა იაროს: ნაგუბარში სდგება წყალი,—რადგან ეს არის სურვილი და მისწრაფება მშრომელი ხალხისა. უსაჯანო

ს.ო.შ. ხაზაფა თითქმის ყოველ კვირა იმართება წარმოდგენა, ზვირადა—უფასოდ. მშვენიერი წინა ფარდა მიუტანს შეფმა ქ. ტვილისის წყალსადენის მუშათა გავუფმა. დანარჩენი ძველი დეკორაკიებია. ქანდარას სკიორის შეკეთება, სურათების დახატვა და, საერთოდ, სათეატრო დარბაზს შეღამაზება, იმედია, ადგილობრივი დრამურე და, ვისიც ჯერ არს, ყურადღებს მაქცევს.)*

ს.ო.შ. უჯარამაში ყოფ. მღვდლების ნამოფ ბინაზე ღარიბმა სოფელმა მოაწყო სათეატრო სცენა, საქმე ნელ-ნელა მიუცავს წინ. საქიროა დახმარება.

ს. მუხარამანი პატარა სოფელია, ვიდრე წითელი ბატარეია იდგა, კახარამაში მართავდა წარმოდგენებს, რომელსაც მუხარამანის ღარიბი გლეხობაც ესწრებოდა. ახლა აქ მოაწვეს ძვირფას ჯიშის ცხენებს „ქაჩახანა“, თეატრის საქმე ჯერჯერობით დავიწყებას მიეცა.

ს. პაბატაძეშვილის სტენისმოყვარენი, როგორც იქნა, საბძლებს დაეხწივნენ, მაგრამ შესაფერი შენობა მანაც არა აქვთ: არც სკამები, არც სცენა, შენობის გადაკეთება შეიძლება, ადგილობრივი ძალები რომ არ მოისუსტ.

ს. სარატივალია-არაქაძეშვილი კომკავშირის სახელობაზე ადგილობრივ მოსამსახურეთა, მასწავლებელთა და მოწინავე პირობა მიერ საუკეთესოდ მოეწყო თეატრი. პართული წარმოდგენებში ნემებრიძე მონაწილეობენ. შენობა შეღებილია, დახატული. მუშკოობის სახელით შეფმა საუკეთესოდ ფარდა მოუტანა. დაიდგა ელექტრონის მოტორი, ტუმბო მანტეობის უფროსის გამო ხშირად იშლება. წარმოდგენა ხშირად იმართება.

ს. მარტოშვილი სხვა კულტურულ საქმიანობასთან ერთად თეატრიც უკეთესად მოეწყო. სათეატრო დარბაზად გადაკეთებულია ყოფ. მღვდელთა საცხოვრებელი ბინა. სოფლის კვალობაზე თეატრა მშვენიერადაა მოწყობილი და შესაფერი წარმოდგენებიც იმართება.**)

ს. ნორი ჯერაც კიდევ ვერ დაწესია ძველ ქირს, სალათის ძილს: აქ ჯერ ახალშენელთაგან არაფერი ვაკეთებულა, თუმცა დაუდგენიით კი თეატრის აშენება.

ტურა.

*) როგორც შევიტყუეთ, ტუ. აღმსკომის თეატრისთვის განსაკუთრებული გამოე დაუქირავებია და 150 მან. დახმარება მიუცია
**) ტუ. აღმსკომისაგან მიეცა 150 მან. დახმარება.

ახალციხის ლენინის მუშათა სახელობის კლუბში თებერ. 1-ს წარმოდგ. იქნა „ხანუმა.“

კარავდ შესარულეს ხანუმათა ორთა კოლ. ერებაშვილისამ, დანტავიშვილის—ნიკოლოზიშვილმა, კოტე—წერეთელმა, ქებატუას—ბაიბურეთელმა, აკოფას—ე. ელიზბარი-შვილმა, მიკიანს—სოსო თარნაიშვილმა, ტიმოთეს—ი. ხუციშვილმა, სონიანს—შიბად, სარას—გაგორიშვილმა.

დრამდანი დაუღლოვად მუშაობს. წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო მიუხედავად დიდი თოვლისა და ყინვების. **ვაჟე გურგენიძე.**

ზიათურის თეატრს წელს გამოცოცხლება დაეტყო და დისი შეზადგენლობაც საკმაოდ ძლიერი შეიქმნა. მოწვეულნი არიან ნიჭიერი მსახიობები, მათ შორის პ. ფრანკ-ვიშვილი, ა. ლოლუა. ნ. მაქავარიანი და სხვა. სეზონი გაიხსნა „რევოლიუციის რეჟიაჟი“-თ. წარმოდგენები იმართება ყოველ შაბათ-კვირას, რეპერტუარიც საინტერესო და შესაფერისია.

ალსანიშნავია ადგილობრივ სტენისმოყვარეთა პროგრესი ამ სფეროში. წარმოდგენებს ხალხი ბლომად ესწრება. დასს რეჟისორობდა მხ. ქორელი, რომელმაც მშვენიერად დადგა რამდენიმე პიესა: მისი ტვილისში გადასვლის შემდეგ ხელმძღვანელ-რეჟისორობათ ითვლებიან გამრეკელი-თორელი ნინო და სოსო მებურთიშვილი, რომელიც საკმაო ნერვიოს და მომხადლებული პიროვნება აღმოჩნდა. თეატრს განავლება გ. ნუცუბიძე. **გ. წა—ლი.**

პალისიანის თეატრის სეზონი გაიხსნა ქრისტეშობის თვეში. მუდმივი სტენის მოყვარენი ქ-ნი: თამარ ფერაძე, ვერა ქადაგიშვილი, კატუშა ყორუაშვილი, მარუსა მესხი, ვ-ნი: ვ. ტერმოსსოვი, გიორგი და გიო ბეჟინოვი, ვ. შალაშვილი, ბ. ბერიშვილი, ნ. მელექსიშვილი, ვ. ყორუაშვილი, გ. გორგოშვილი, ლეო ქავჭავაძე, ალ. თათარაშვილი, სარ. მილოვი, ნ. მღებრიშვილი, ბ. დათუაშვილი, ს. ზაქარიაშვილი, ვ. ჩიჩუა.

დეკემ. 28 გამართა საბუნების საღამო დამსახურებულ სტენის მოყვარის ვასო ტერმოსსოვისა (წარმოად. „არშინ-მალალან“).

საღამოდ კარგად ჩაიარა, დარბაზი თითქმის სავსე იყო. საზოგადოება ქმაყიფილი დარჩა. დასი განავარობს გულმოდგინედ მუშაობას. **ნიმდელი.**

რადამკიხისაგან. „თ. და ც.“ №1 X-ის წერილის „საქირო განმარტება“-ს ბოლო ოთხი პუკარი სხოლოში უნდა ყოფილიყო დაბეჭდული, როგორც რედაქციის შენიშვნა. ტენიკური მიზეზით წერილზეა მიყოლებული.

ხელმძღვანელი კოლხაია

რედაქტორ-გამომცემელი: იოსებ იმედაშვილი

სსს. ოპერის
თეატრი

ზაბათს,
თეატრალის 28-ს
ეურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

თავისი საამაყო თანამშრომელის აკაკის
გარდაცვალებიდან 10 წ. შესრულების აღსა-
ნიშნავად გამართავს

აკაკის საღამოს

შინაბასი: I სიტყვა; II წარმოდგენა „ბუ-
ტიობა“, III პოეზია-აკაკის ნაწარმოებთა
სიმღერა-დეკლამაცია, IV მუსიკა: ა) „თამარ
ცხიერი“, მ. ბალანჩიშვილის ოპერიდან; ბ) „პა-
ტარა კახი“, ნ. სულზანიშვილის ოპერიდან;
V აპოთეოზი

დაწვრილებით აზიზუბაზი

ფოტოგრაფ

პ. ნიკოლენკო

სინათლით წერის სახელოსნო

ტფილისი, პლენიანის პრ., № 107

ასრულებს ყოველგვარ

სამხატვრო-საფოტოგრაფიო სამუშაოს, პორ-
ტრეტებს, ჯგუფებს, ფოტოეკსიზებს და სხ.

ადიდებს სურათებს.

ლია ყოველდღე დილას 10 ს. საღ. 5 ს.

აქიჩი ა. დ. ალაქსიძე

(რტიშევის ქ. № 10)

მეანთა და ქალთა
ხედავითობა

იღებს ავადმყოფებს სტამბოლით
4—7 ს., სამუშაოს კარდა.

10—2

იკავებება და მოკლე ხანში გამოვა

პრინციპული

პიესათა პრეპული:

1. კაცი-ზამბის ღაბრატაშვილი, ბატონყმობის ისტორიიდან 4 მოქ.
 2. შუამის ჯოხი, 5 მოქ.
 3. ნათრვა—4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან.
 4. მუშის ძალი, რევოლუციონური 4 მოქ.
 5. დაღუპული სიყვარული, 3 მოქ. და 5 სურ.
 6. კავშირის მხვერვალი—4 მოქ.
 7. მათი ძალის აბაზი—კომ. 1 მოქ.
 8. ცხენაკა—საბავშვო 2 მოქ.
- მსურველთა შეუძლიან წინაწინე დაიკვე-
თონ „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციაში.
3ინც წინდაწინ დაიკვეთს და ფულს შე-
მოიტანს—ერთ მანეთად დაეთობა.

რესტორანი

„მცხეთა“

(ვერს დაღარათის ქიში, ყოფ. ზემლის აფთიაქს, ქვეშ)

ეგრატული და ახიური საჭმელები

ახალ-ახალი ხანოვაგით

ს ა დ ი ლ ი | ვ ა ხ უ ა მ ი

1—6 საათამდე | ლამის 8 ს-მდე.

ყოველთვის მოიპოვება

მ ც ხ ე თ ი ს პ ი რ ო უ პ ი

დაკლუნილი დასკვით.

პატივისცემით სერგო კახეთელიძე

„რეზინოტრასტი“

გამკვეთა მოსკოვში, მოროსიევი, 12.

ოფილისის განყოფილება


საბითუმო და წერილი ვაჭრობა (სოლ. ქ., 4)

მოსკოვის უსახური კვილის

ყოველგვარ რეზინულ ნაწარმოებს, რო-
გორც მგ.

კალაშნიკის, ავტო-საბარგო-მოტო-ველო-ეტლის
შინებს, ღვედებს, სახელებს და ტენიკურ ნა-
წარმოებს, ქანსელის (აზბესტი) ნაწარმოებს, სა-
დოსტაქრო ნაკეთობას, სამგზავრო, სოჯახო
და სასპორტო საგნებს, რეზინებს—სარეცხად,
სათამაშოებს, ბურთებს, ბერელებს და სხვ.

კომერტივეზა და სახელმწიფო დაწესებუ-
ლებებს საქონელი დაეთმობით შედავითან
1—1 პირობებში



მექანიკური
სახელოსნო

დ. ი. ბენდუქიძე

ანდრეევის ქ., № 65.
ტელეფონი № 5-82.



ა. ალექსიძის
საცეკვაო სტუდია

პასუხი უპეღვარ

კავკასიურ ეროვნულ და ევროპულ ცეკვებს
ხელსაყრელ ფასეფი

ბავშვებს 12 წ. ვღებულთბ განსაკუთრებულ ჯგუფებში.
პირობებზე მოლაპარაკება უოველდღე 5-8 საათ., გარდა კვირისა.
კალინინის ქ. (ნიკოლოზის ქ.), № 47.

ფოტოგრაფი

ვ. ჩლიქაძე

პლენანოვის პრ., № 147

იღებს უოველგვარ ფოტოგრაფიულ
სურათებს

ადიდებს პორტრეტებს, ტუშითა და ფერად
საღებებშითა

უეკვეთა სრულგვა მგაწვრულად
ფოტოგრაფიის უკანასკნელი ტანისიბი თანასგად
სუფთად და თავის დროზა

(5-1)

ფოტოგრაფია ევ. უზანიასი

(რუსთველის პრ. № 8, „ზარია ვოსტოკა“-ს
რედაქციის გვერდით, ეზოში, მუშათა სასახ-
ლის პირდაპირ)

ასრულგებს უოველგვარ
საფოტოგრაფიო
საგუშაოს

სუფთად,
მელტენსკად,
სწრაფად.

(8-6)